# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 2 ოქტომბერი 2002 №186 (1708) | ფასი 50 თეთრი






გიორგი ქინქლაძე ალექსანდრე ჩივაძის უყურადღებობამ გაანაწყენა

ალექსანდრე ჩივაძემ სარუსეთოდ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი არ გამოიძახა – ქინქლაძე, ნემსაძე, ყაველაშვილი – აგერ ათი წელია, ლამის ერთ მატჩსაც რომ არ გამოკლებიან. ამ ფეხბურთელებს, ხეირიანად თამაშობდნენ თუ ვერა, ნაკრებში ადგილი დაზღვეული ჰქონდათ. და განა ერთხელ და ორჯერ გვითქვამს, რომ თუ ფეხბურთელი ფორმაში არ არის, დიდი ხნის უთამაშებელია, ოდენ სახელისა და ძველი დამსახურების გამო – თუ ასეთი აქვს – არ უნდა გამოიძახო. ისე, ჩვენი თქმა ამას რად უნდა, მთელმა მსოფლიომ იცის და ეს დამწყები მწვრთნელების სახელმძღვანელოებში წერია.

ჰოდა, გამოდის, ჩივაძე მართალია, ეს ფეხბურთელები 12 ოქტომბრისთვის რომ არ ინდომა, მაგრამ...

ეჭვი გვაქვს, მწვრთნელმა უბრალოდ არ იცის, რომელი ფეხბურთელი როდის არის ფორმაში და როდის არა.

# გგონიათ, ჩივაძე მართალია?

## ქინქლაძის ექსპრესრეაქცია ჩივაძის დაგვიანებულ რეაქციაზე

— რა თქმა უნდა, გულსატკენია და ძალიან უხასიათოდაც ვარ ჩივაძის გადაწყვეტილების შემდეგ — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ წუხელ, დერბიში რომ დავუკავშირდით — გამიკვირდა, მწვრთნელმა ნაკრებს მიღმა რომ დამტოვა.

**— ორი თამაში, თურქეთსა და შვეიცარიაში, პირდაპირ ვთქვათ, ჩააგდე. მაშ რატომღა გიკვირს, მწვრთნელმა ნაკრებს რომ ჩამოგაშორა?**

— გეტყვით, რატომაც ვარ გაკვირვებული. როცა თავადაც კარგად ვგრძნობდი, სასურველ სათამაშო ფორმაში არ ვიყავი, ჩივაძე მატჩამდე ხშირად მიკავშირდებოდა, აინტერესებდა როგორ ვიყავი მომზადებული. არც დამიმალავს და მითქვამს კიდეც მისთვის, როგორ ფორმაშიც ვიყავი. ჩივაძე მაინც მეძახდა და მეც მოვდიოდი ნაკრებში სათამაშოდ. ახლა კი, როცა ფორმა აღვიდგინე, კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიბრუნე, გოლიც გავიტანე და თავს მომზადებულად ვთვლი, რასაც სხვებიც ამჩნევენ, ჩივაძე საერთოდ არ შემხმიანებია. სიტყვა არ უთქვამს, არცკი დაინტერესებულა, როგორ ფორმაში ვარ.

**— ამის მიზეზი რა უნდა იყოს?**

— ვერ გეტყვით, მწვრთნელს ჰკითხეთ. დამეთანხმებით, უცნაურია, მოუმზადებელს იწვევდე ნაკრებში სათამაშოდ და მომზადებულისკენ არც კი გაიხედო. თურქეთსა და შვეიცარიაში მატჩები მარტო მე წავაგე? ჩივაძემ, ეტყობა, ჯოხი ჩემზე და ნემსაძეზე გადატეხა.

**— ყაველაშვილი?**

— ყაველაშვილი თურქეთში არ ყოფილა, შვეიცარიაში კი მწვრთნელმა სულ ორი წუთი ათამაშა.

**— თქვენ, ჩივაძეს საბოლოოდ ჯერ არ გადაუწყვეტია, გამოგიძახოს თუ არა რუსეთთან მატჩისთვის. შესაძლოა, სულ ბოლო მომენტში მიგიწვიოს.**

— ლოდინს რა აზრი აქვს?! გადაწყვეტილი ექნება ჩემი საკითხი, თორემ აქამდე გამომიძახებდა. ესეც რომ არა, ახლა რომც დამიძახოს, აღარ ჩამოვალ. ცარიელი ადგილი უნდა შემავსებინოს? თუ სურდა ჩემი მიწვევა, მიმიწვევდა.

**კობა ინასარიძე**

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ბაიერნი ა-კან-კალდა

## ჰიცი გვწამს, პიპო გვაკვირვებს



ფილიპო ინძაგიმ სალიგო გოლები დაიხვავა: „მილანის" რვა ბურთიდან შვიდი მისია



ბაიერნი — მილანი. კახა კალაძესთან (მარცხნიდან მეორე) ჭაჭგურისას მიხაელ ბალაკის სიმულანტობას მილანელთაგან დანამუსება და მსაჯისგან ყვითელი ბარათი მოჰყვა



REUTERS სტამბოლიდან

ქალი ლიგაში: ნელი ვიენომ სტამბოლში იმსაჯა



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — ნიუკასლი. ტურინელი მარკო დი ვაიო ნიკოს დაბიზასთან თავით შეხლისას ისე დაშავდა, საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა



REUTERS მოსკოვიდან

ლოკომოტივი — ბარსელონა. ხავიერ სავიოლამ მოსკოვიდან ორი გოლი გაიყოლა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## I ჯგუფური ეტაპი. III ტური

### E ჯგუფი

**იუვენტუსი 2:0 ნიუკასლი**

1:0, 2:0 დელ პიერო (66, 81)

იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, მონტერო, იულიანო, მორიენტე, დავიდსი, ტუდორი (ბირინდელი 84), ზამბროტა (ფერესი 86), ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო (ტრეზეგე 17)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

ნიუკასლი: გივენი, გრიფინი (ამეობი 79), ე. ობრაიენი, დაბიზასი, ჰიუზი, სოლანო (ვიანა 70), სპიდი, ჯენასი (ლუა ლუა 79), რობერი, დაიერი, შირერი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

41 424 მაყურებელი

**ფეიენოორდი 0:0 დინამო**

ფეიენოორდი: ზუტებიერი, ემერტონი, პაუვა დე ჰაანი, რზასა, ჩ. სონგი, ბოსველტი, ონო, პარდო (ვან პერსი 55), ვან ჰოიდონკი, ბუფელი (კალუ 65)

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვაიკი

დინამო: რევა, ბოდნარი, ხაცკევიჩი (ლეკო 63), გავრანჩიჩი, ნესმაჩნი, პეევი, გიოანე, გუსინი, ჩერნატი (რინკონი 84), მელაშჩენკო, შაცკიხი

მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო

მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

48 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 |
| ფეიენოორდი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | 4 |
| ნიუკასლი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

### F ჯგუფი

**მანჩესტერი 4:0 ოლიმპიაკოსი**

1:0 გიგზი (19), 2:0 ვერონი (26), 3:0 გიგზი (66), 4:0 სოლსკიაერი (77)

მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი (ოშე 69), ფერდინანდი, სილვესტრი, ბექჰემი, ვერონი, ბატი, გიგზი (ფორჩუნი 69), სქოულზი (ფორლანი 77), სოლსკიაერი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ოლიმპიაკოსი: ელევთეროპულოსი, ვენეტიდისი, ანატოლაკისი, ამანატიდისი (მავროგენიდისი 73), ანცასი, იანაკოპულოსი (დრამენი 46), კარამბუ, ზე ელიასი, ჯორჯევიჩი, ზეტერბერგი, ოფორი-კუაიე (ალექსანდრისი 59)

მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი

გაძევება: ზე ელიასი (45)

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

66 902 მაყურებელი

**მაკაბი 0:2 ლევერკუზენი**

0:1, 0:2 ბაბიჩი (31, 63)

მაკაბი: ავატე, კეისი, ბენადო, ეჟიოფორი, ზანო, პრალია (ისრაილევიჩი 70), ქეტაუტასი, ბადირი (ზანდბერგი 61), როსო, კატანი (კოენი 61), აიეგბენი

მწვრთნელი: იცხაკ შუმი

ლევერკუზენი: ბუტი, ჟივკოვიჩი, რამელო, ლუსიო, ბალიტში, ოჟიგვე, შნაიდერი (ბიროლგა 85), ბაშტურქი, ბაბიჩი (ფრანიეში 76), ნოივილე, ბრდარიჩი (ბერბატოვი 70)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი

მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)

4 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 9 |
| მაკაბი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:9 | 3 |
| ლევერკუზენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |

### G ჯგუფი

**ბაიერნი 1:2 მილანი**

0:1 ინძაგი (52), 1:1 პიზარო (54), 1:2 ინძაგი (84)

ბაიერნი: კანი, ჰარგრივსი, რ. კოვაჩი, ლინკე, ტარნატი (ციკლერი 86), სალიჰამიჯიჩი, იერემისი, ბალაკი, ზე რობერტო, ელბერი, პიზარო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (სერჯინიო 77), ზეედორფი, რუი კოშტა (ლაურსენი 85), რივალდო (ამბროზინი 66), ინძაგი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

63 000 მაყურებელი

**დეპორტივო 3:1 ლანსი**

0:1 მორეირა (10), 1:1 მაკაი (50), 2:1 კაპდევილა (79), 3:1 სერხიო (84)

დეპორტივო: მოლინა, ექტორი (სერხიო 46), ნაიბეტი, სეზარი, რომერო, სკალონი, დუშერი (კაპდევილა 70), მაურო სილვა, ფრანი, ტრისტანი (ლუკე 77), მაკაი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ლანსი:ვარმუზი, ფერდინანდ კოლი, რ. სონგი, ბაკი (კულიბალი 65), რული, ბლანშარი, კორიდონი, სიბიერსკი (ბაკარი 83), პედრონი (დიან-ფეინე 77), უტაკა, მორეირა

მწვრთნელი: ჟოელ მიულერი

მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)

28 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| დეპორტივო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:7 | 6 |
| ბაიერნი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |
| ლანსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

### H ჯგუფი

**გალათასარაი 0:0 ბრიუგე**

გალათასარაი: მონდრაგონი, ბიულენთი (ვედათი 83), ემრე აშიქი, უმიტი, ბასტისტა, ფილიპე (აიჰანი 70), სუათი, დავალა უმითი, არიფი, ჰ. შაში (ბალიჩი 46), უმით კარანი

მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი

ბრიუგე: ვერლინდენი, ბ. მარტენსი, დე კოკი, ვანდერჰაიდენი, სიმონსი, სტოიკა (ნ. ჩუპი 88), ენგლებერტი, ვერჰეიენი (ს. მარტენსი 90), კლემენტი, სერებრიანიკოვი, ლანგე (მენდოსა 54)

მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

20 000 მაყურებელი

**ლოკომოტივი 1:3 ბარსელონა**

0:1 კლუივერტი (29), 0:2, 0:3 სავიოლა (31, 48), 1:3 იზმაილოვი (55)

ლოკომოტივი: ს. ი. ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, დრონზდოვი, ლეჩკოვი, იგნაშევიჩი, ევსეევი, ხოხლოვი, იზმაილოვი, მამინოვი, იზმაილოვი (ბუზნიკინი 66), პიმენოვი

მწვრთნელი: იური სიომინი

ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, დე ბური, ნავარო, მენდიეტა, ხავი, კოკუ, მოტა, ლუის ენრიკე (ჯოვანი 61), კლუივერტი (ხერარდი 75), სავიოლა (რიკელმე 86)

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

მსაჯი: თომას მაკკარი (შოტლანდია)

20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| გალათასარაი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბრიუგე | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

# უეფას თასი 2002-2003
## პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ამიკა** (პოლონეთი) 1:2 **სერვეტი** (შვეიცარია) (3:2)

0:1 ფრეი (35), 1:1 ბურხარდტი (62), 1:2 ფრეი (88)

ამიკა: შამოტულსკი, სკრობეკი, გესიორი, დიოკოვიჩი, ზეწიუკი, დემბინსკი, მ. ჟეიძა (სავალა 85), ბენიუკი, ბურხარდტი (სობოჩინსკი 62), ბაიორი, კროლი (კოვალჩიკი 90)

მწვრთნელი: მიროსლავ იაბლონსკი

მსაჯი: დეიან დელევიჩი (იუგოსლავია)

1 500 მაყურებელი

**ჰერტა** (გერმანია) 1:0 **აბერდინი** (შოტლანდია) (0:0)

**შახტარი** (უკრაინა) 1:0 **აუსტრია** (ავსტრია) (1:5)

# ინგლისი
## ლიგის თასი. II ეტაპი

**ბრენტფორდი 1:4 მიდლსბრო**

**კემბრიჯი 0:7 სანდერლენდი**

**ჩარლტონი 0:0 (პენ. 5:6) ოქსფორდი**

**ჩესტერფილდი 1:1დ.დ. (პენ. 4:5, 1:1) ვესტ ჰემი**

**ჰადერსფილდი 0:1დ.დ. (0:0) ბარნსლი**

**მაკლსფილდი 1:2 პრესტონი**

**მანჩესტერ სიტი 3:2 ძრიუ**

**პორტსმუთი 1:3 უიმბლდონი**

**როზერჰემი 4:4დ.დ. (პენ. 4:2, 3:3) უოლვერჰემპტონი**

**შეფილდ იუნ. 4:1 უიკომბი**

**სტოკპორტი 1:2დ.დ. (1:1) გილინგემი**

**ტოტენჰემი 1:0 კარდიფი**

**რედინგი 0:3 ევერტონი**

# შვედეთი
## XXII ტური

**იორგრიო 2:2 მალმიო**

# ჩემპიონთა ლიგა III ტური. დღეს



ამ ბიჭების დამარცხება ევროპაშიც ძნელი საქმეა: „არსენალს“ ფრანგული „ოსერი“, ცხადია, უფრთხის

## A ჯგუფი

### ოსერი — არსენალი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ფაბიან კული, რადეტი, ბუმსონგი, მექსეში, ტაური, ფეი, ლაშეური, ტაინიო, ფადიგა, მვარუვარი, კაპო

სიმენი, ლორენი, სიგანი, კემბელი, კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, ვილტორდი, ანრი, კანუ

### პსვ ეინდჰოვენი — დორტმუნდი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოიერი, ფაბერი, ბუმა, ფოგელი, ვან დერ შააფი, ლეანდრო, ბრუგინკი, ვენეგორ ოფ ჰესელინკი, რობენი

ლემანი, ევანილსონი, მეცელდერი, ვორნსი, დედე, ჰაინრიხი, ფრინგსი, კელი, როსიცკი, კოლერი, ევერტონი

## პიდინკს გოლი შია

უკვე ზედიზედ ოთხი საჩემპიონთალიგო მატჩია, პსვ-ს გოლი არ გაუტანია. ბოლოს ჰოლანდიელებმა შარშან 16 ოქტომბერს გაუტანეს რომის „ლაციოს“, მას მერე კი დაახლოებით 400 უგოლო წუთი ჩაატარეს.

გუს ჰიდინკის ბანაკს ერიკ ადო და ადილ რამზი დაუბრუნდნენ, რომელთაც ტრავმები საბოლოოდ მოიშუშეს. თუმცა პსვ-ს თავკაცი კვენ ჰ ოფლანდის ტრავმას დაუღონებია, იგი „არსენალთან“ მატჩში დაშავდა.

„დორტმუნდი“ კი ხასიათზე მოვიდა. ბუნდესლიგურ გამარჯვებებს გერმანელებმა ფრანგული „ლანსის“ ძლევაც მიაყოლეს და ახლა პსვ-საც იგივეს უპირებენ. მათთას ზამერი გუნდის კაპიტან იორგ ჰაინრიხს ვერ დაიხმარს, ის დაშავებულია.

— ეინდჰოვენში მოგება რთულია, მაგრამ შეუძლებელი არაა. ეს იქნება ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება ბოლო პერიოდში — თქვა მეცელდერმა სებასტიან კელიმ.

ფრანგები კვლავ მოისაკლისებენ ნორჩ მეგოლე ჯიბრილ სისეს. „ოსერს“ ასევე არ ეყოლება ნახევარმცველი ლიონელ მატისი.

— „არსენალი“ ამ დროისთვის საუკეთესოა ევროპაში — განაცხადა „ოსერის“ თავკაცმა გი რუმ.

არსენ ვენგერის გუნდის შეჩერება ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა. ინგლისელები შინ და გარეთ უძლეველნი არიან, თუმცა მთლად უიმედობა არც ფრანგებს ეტყობათ. გამარჯვებაში დარწმუნებულნი არიან „არსენალის“ ფრანგებიც.

„მეთოფეებს“ ლენის ბერხკამპი და მარტინ კიოუნი დააკლდებათ. ორივე ფეხს იტკივებს.

**ქახა ზალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ოსერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პსვ ეინდჰოვენი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 1 |

## C ჯგუფი

### აეკ — რეალი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ხოპტისი, გეორგიადისი, რაიტი, კაპსისი, ზაგორაკისი, ცარტასი, კასაპისი, კაცურანისი, ლაკისი, ნიკოლაიდისი, იგიჩი

კასილიასი, სალგადო, პავონი, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, კამბიასო, სოლარი, ზიდანი, რაული, გუტი

### გენკი — რომა

**სავარაუდო შემადგენლობები**

მოსსი, ვანბიურენი, ზოკორა, ტომაშიჩი, ტიისი, ბესლია, როემანი, სკოკო, დაერდენი, სონკი, დაგანო

ანტონიოლი, პანუჩი, სამუელი, ძებინა, კანდელა, ლიმა, ემერსონი, ტომასი, კაფუ, ტოტი, ბატისტუტა

## სტუმრად შკვანძოსთან და შპროცენტოსთან

**თუ ყველაფერი** ლოგიკურად წარიმართა და მადრიდის „რეალმა“ ათენში სძლია აეკს, ჩემპიონთა ლიგის თასის მფლობელი მეორე ეტაპზე გასვლას კარგა ხნით ადრე გაინაღდებს. აეკს ტრავმები ღრნის. მისი მარცხენაფლანგელი ვარსკვლავი გრიგორის გეორგატოსი ორთავე კუნთს იტკივებს, მარჯვენა მცველი ვასილის ბორბოკისი თეძოს, ხოლო შემტევი დიმიტრიოს ნალიცისი ტერფს. სამივენი აეკის წარმართველი, საკვანძო მოთამაშეები არიან.

ამ სამეულს მიშელ კრევკი და ელიას ატმაციდისიც უნდა დავუმატოთ — ისინი უკვე რამდენიმე თვეა რაც ჯანზე ვერ არიან.

მადრიდელებზე იმას ვეტყვით, რომ ამ საღამოს რონალდოს დებიუტს ტყუილად ნუ ელით. კოჭა ბრაზილიელი საბერძნეთში არც კი ჩასულა.

ცხადია, „რეალი“ დარწმუნებულია გამარჯვებაში — ჩემპიონთა ლიგის პირველი ორი მატჩი ისე მოგიგო, რომ ცხრა გოლი გაიტანა და ერთიც არ გაუშვია.

ბელგიაშიც ფავორიტად სტუმრები მიიჩნევიან. „გენკის“ მწვრთნელი სეფ ვერგოოსენი იქაურმა მედიამ „რეალთან“ 0:6 წაგების შემდეგ კარგა მაგრად გააკრიტიკა, მაგრამ სეფმა თავი იმართლა: „ჩემპიონთა ლიგის მწვერვალი 60 პროცენტით აღემატება ისეთი პატარა საფეხბურთო ერის მწვერვალს, როგორიც ბელგიაა. დონეში განსხვავება ხომ მართლაც არსებობს“.

„რომას“ დაუბრუნდება ფრანჩესკო ტოტი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის პირველი ორი ტური დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. წინა სეზონში „გალათასარაისთან“ მატჩში ტოტი რომ მუშტიკრივზე გადავიდა, ეს სასჯელიც ამიტომ დაიმსახურა.

კვირას „რომამ“ 3:2 მოუგო „ბრეშას“ ტოტის ჰეთ თრიქით და ვინძლო დღესაც იტოტმანოს.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 6 |
| აეკ | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| რომა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| გენკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:6 | 1 |

## B ჯგუფი

### ლივერპული — სპარტაკი

**სავარაუდო შემადგენლობები**

დუდეკი, ანშო, ჰიპია, რიისე, კარაგერი, მერფი, ჰამანი, ჯერარდი, ჰესკი, ოუენი, ბაროში

ჩერჩესოვი, კოვტუნი, კებე, ჩუისე, მიტრეისკი, მოიზესი, ხლესტოვი, კუდრიაშოვი, კალინიჩენკო, ბესჩასტნიხი, დანიშევსკი

### ვალენსია — ბაზელი

**სავარაუდო შემადგენლობები**

კანიზარესი, კური ტორესი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, ანგულო, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, აიმარი, კარეუ

ცუბერბიულერი, ჰაასი, კვენტინი, მ. იაკინი, ატუბა, ბარბერისი, კანტალუპი, ქამოზიტო, ჰ. იაკინი, ხიმენესი, როსი

## დღეს ოუენი მახარებს

**ჟერარ ულიემ** როგორც იქნა, გაიხარა. მაიკლ ოუენმა პრემიერლიგის მერვე ტურში ჰეთ თრიქი შეასრულა. აკი ამბობდა ფრანგი, ოუენის მჯერაო და აღგილსაც ანდობდა.

დღეს „ლივერპულს“ დიტმარ ჰამანი დაუბრუნდება, რომელიც ვალენსიაში მიღებული წითელი ბარათის გამო „ბაზელთან“ გუნდს დააკლდა. ჰამანი თავის ჩვეულ ადგილს დაიკავებს, მერსისაიდელები კი სამი მეგოლით, ოუენი-ჰესკი-ბაროშით შეუტევენ გულის შეტევამდე მისულ ოლეგ რომანცევის „სპარტაკს“. მასპინძლებს ვერ დაეხმარებიან ვლადიმირ შმიცერი და აბელ შავიერი.

რუსებს რომ შავი დღეები უდგათ, არახალია. ერთი ევაა, განვლილ უქმეებზე ტური გამოტოვეს და კარგად დაისვენეს. ეს დასვენება რამდენ ხანს ეყოფათ „ლივერპულის“ გასაძლებად, დღეს გამოჩნდება. შეგახსენებთ, რომ „სპარტაკს“ ექვსი თვით იგორ ტიტოვი ჩამოშორდა, ხოლო უკრაინელი დმიტრი პარფიონოვი, ალბათ, უფრო მალე გამოკეთდება.

ვალენსიაში მესტალიელები თავისი მესამე სალიგო მოგებისთვის ემზადებიან და საამისოდ ყველა წინაპირობა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ კილი გონსალესი ტრავმირებულია, რაფაელ ბენიტესს მისი შემცვლელის პოვნა არ გასჭირვებია. გუნდი ძალიან შთამბეჭდავ ფეხბურთს აჩვენებს და გოლების გატანაც არ უჭირს. მისტას, ბარახასა და ანგულოს სამიზნეები ისე აქვთ გასწორებული, რომ თითქმის ერთ მატჩს არ ტოვებენ უგოლოდ. „ბაზელს“, ცხადია, ლივერპულში მიღწეული ფრის შემდეგ ერთი პატარა გმირობის ჩადენაც სურს, მაგრამ თუ „ენფილდზე“ პასკალ ცუბერბიულერის კარი მოჯადოებული იყო, „მესტალიაზეც“ იგივე ალბათ აღარ განმეორდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

## D ჯგუფი

### ინტერი — ლიონი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ტოლდო, კანავარო, მატერაცი, კორდობა, კოკო, ალმეიდა, დი ბიაჯო, დალმა, კ. ძანეტი, კრესპო, რეკობა

კუპე, დეფლანდრე, მიულერი, კასაპა, ბრეში, ედმილსონი, ვიოლო, მ. დიარა, დორასო, კარიერი, ს. ანდერსონი

### რუსენბორგი — აიაქსი

**სავარაუდო შემადგენლობები**

არასონი, საარინენი, ბასმა, ჰოფტუნი, სტრანდი, ოლსენი, სკამელსრუდი, ბერგი, კარადასი, ფ. იონსენი, ბრატბაკი

დიდულიკა, ტრაბელსი, იაკუბუ, კრუზ, ვან დამი, გალაშეკი, პიენაარი, ვიტგე, ვან დერ მეიდე, იბრაჰიმოვიჩი, ბუხარი



ერნან კრესპოს ვიერის ნაცვლად რეკობა შეუწყვილდება

## ვიერის თეძო ვირებმა ატკინეს იარიმ იარა ვერ მოიშუშა

**მილანის** „ინტერში“ სერიოზული დანაკარგია — კრისტიან ვიერის „კიევოსთან“ მატჩში თეძოს კუნთი ისე დაეჭიმა, რომ ვერ ითამაშებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ალვარო რეკობა აუცილებლად სასტარტოში იქნება და ერნან კრესპოს შეეწყვილება თავდასხმაში. მათ უკან კი ალბათ მატიას ალმეიდა და ლუიჯი დი ბიაჯო იმოქმედებენ.

საფრანგეთის ჩემპიონ „ლიონს“ დაცვაში ერთობ უჭირს — ეროვნული ჩემპიონატის ცხრა მატჩში 13 გოლი გაუშვა, რაც ჩემპიონისთვის ბევრია. ჰოდა, როგორც ვარაუდობენ, მწვრთნელი პოლ ლე გუენი „ინტერს“ ხუთკაციან დაცვას დაუპირისპირებს. ისე კი, ფრანგებს დაშავებული არავინ ჰყავთ.

„სან სიროზე“ დღეს ნაღდად არ მოთოვს, მაგრამ ტრონდჰეიმის ციდან რა წამოვა, ამას ნამდვილად ვერ გეტყვით.

ასეა თუ ისე, „აიაქსი“ ერთობ სიმპათიურად გამოიყურება და კლასით აღემატება კიდეც „რუსენბორგს“, მაგრამ ვინ იცის — სუსხიან ნორვეგიაში ბევრს დასცდენია ფეხი.

„რუსენბორგს“ შუახაზელი როარ სტრანდი გამოუჯანმრთელდა და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დღეს ითამაშებს.

„აიაქსს“ არ ეყოლება ჯონ ჰეიტინგა — ეს მცველი შაბათს „ბრედასთან“ ჭიდილში დაიმტვრა. ამსტერდამელებს არც აირი ლიტმანენი ეყოლებათ, რომელმაც ორთავე კუნთი სადღეისოდ ვერ მოიშუშა. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა რუმინელი კრისტიან კივუ და „აიაქსიც“ მინიმალური დანაკარგებით ეგებება პროვოკინგაკვებს.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| აიაქსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:7 | 1 |

# დაფი გაიქცა, იორკი წაიქცა



დუაიტ იორკმა გოლით კი გაიხარა, მაგრამ ტრავმას ვერ გადაურჩა

„ბლეკბერნ როვერსმა" გასვლით მატჩში 2:0 სძლია „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" და ამ საქმეში მთავარი ლემიენ დაფი იყო, რომელმაც ჯერ პენალტი დასტყუა მასპინძელს, მერე კი მშვენივრად გამოიყენა ენდი კოულის საუცხოო გადაცემა.

ყველაფერი მეორე ტაიმის ხუთწუთიან მონაკვეთში მოხდა, როცა დაფი მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და პენალტი გააჩალიჩა. თერთმეტმეტრიანი დუაიტ იორკმა შეასრულა, რომელიც, ისევე როგორც ენდი კოული და კიტ გილესპი, შეცვლაზე შევიდა შეტევის გასაძლიერებლად.

ამის შემდეგ კოული მოქნილად დატრიალდა მცველთა შორის და მეკარე პოულტთან პირისპირ გაიყვანა დაფი. ამ გოლმა საბოლოოდ გადაწყვიტა თამაშის ბედი, რომელიც, რა დასამალია და, ცოტა არ იყოს, ძნელი საცქერი გამოვიდა. ამ შეხვედრაში ბევრი იყო ჯაჯგური და ბურთის ცაში რტყმა, თუმცა „ბლეკბერნის" უკეთესობა შეუმჩნეველი არავის დარჩენოდა.

„ჰოთორნის" მინდორზე გამარჯვება მაინც ძვირი დაუჯდა „ბლეკბერნს": თამაშის მიწურულს კვლავ დაშავდა ძლივს მორჩენილი იორკი, თუმცა „ბლეკბერნი" მერვე ადგილზე დამკვიდრდა გათამაშების ცხრილში.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 8 | 6 | 2 | 0 | 21:8 | 20 |
| ლივერპული | 8 | 5 | 3 | 0 | 18:8 | 18 |
| მიდლსბრო | 8 | 4 | 2 | 2 | 11:5 | 14 |
| მანჩესტერი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:6 | 14 |
| ჩელსი | 8 | 3 | 4 | 1 | 15:11 | 13 |
| ტოტენჰემი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:12 | 13 |
| ლიდსი | 8 | 4 | 0 | 4 | 11:9 | 12 |
| ბლეკბერნი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 12 |
| ფულემი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:8 | 11 |
| ევერტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 11 |
| ნიუკასლი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:8 | 10 |
| ასტონ ვილა | 8 | 3 | 0 | 5 | 6:9 | 9 |
| ვესტ ბრომვიჩი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:13 | 9 |
| ბირმინგემი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | 8 |
| სიტი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 8 |
| სანდერლენდი | 8 | 2 | 2 | 4 | 3:10 | 8 |
| ბოლტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | 7 |
| საუთჰემპტონი | 8 | 1 | 4 | 3 | 4:8 | 7 |
| ჩარლტონი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:13 | 7 |
| ვესტ ჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:14 | 5 |

## ინგლისი

### პრემიერლიგა. VIII ტური

**ვესტ ბრომვიჩი 0:2 ბლეკბერნი**

0:1 იორკი (72პ), 0:2 დაფი (76)

**ვესტ ბრომვიჩი:** ჰოულტი, სიგურდსონი (ც. ბარშალი 46), ა. მური, ჯილკრისტი, ბალიში, ჯ. ჯონსონი, გრიგენი, კუმასი (უოლკოტი 46), კლემენტი, რობერტსი, ს. ტეილორი (დობი 64)

მწვრთნელი: გარი მეგსონი

**ბლეკბერნი:** ფრიდელი, მ. ტეილორი, ბერგი, ნ. იოჰანსონი, ნაილი, ტომსონი, ფლიტკროფტი (ენდი კოული 19), თუგაი, დანი (გილესპი 60), დაფი, ოსტენსტადი (იორკი 46)

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: რობერტსი, იოჰანსონი

მსაჯი: პელსი

25 170 მაყურებელი

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. VII ტური

**მაინცი 0:0 ფრაიბურგი**

**ფრაიბურგი:** გოლცი, რიტერი, კონდე, ბ. დიარა, ბერნერი, ცქიტიშვილი (ც. ბუტი 81), ა. ცაიერი, ბაირამოვიჩი, კობიაშვილი, კულიბალი (ტანკო 75), რამდანე (იაშვილი 85)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

16 012 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 7 | 5 | 1 | 1 | 12:4 | 16 |
| ტრირი | 7 | 5 | 0 | 2 | 15:6 | 15 |
| აინტრახტი | 7 | 5 | 0 | 2 | 14:6 | 15 |
| კიოლნი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:7 | 15 |
| მაინცი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:5 | 13 |
| ობერჰაუზენი | 7 | 4 | 1 | 2 | 8:4 | 13 |
| ლიუბეკი | 7 | 4 | 0 | 3 | 16:8 | 12 |
| უნიონი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:11 | 11 |
| ალენი | 7 | 2 | 3 | 2 | 11:10 | 9 |
| ბურგჰაუზენი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:8 | 9 |
| ფიურტი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 9 |
| როიტლინგენი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:13 | 9 |
| ალემანია | 7 | 1 | 4 | 2 | 8:10 | 7 |
| დუისბურგი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:13 | 6 |
| ზტ. პაული | 7 | 2 | 0 | 5 | 16:25 | 6 |
| ბრაუნშვაიგი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:19 | 4 |
| კარლსრუე | 7 | 0 | 3 | 4 | 3:11 | 3 |
| ვალდჰოფი | 7 | 1 | 0 | 6 | 8:18 | 3 |

## პორტუგალია

### I ლიგა. V ტური

**აკადემიკა 2:2 გიმარაეში**

1:0 სიპრიანო (5), 1:1 პედრო მენდეში (13), 1:2 დოურდიევიჩი (55), 2:2 ბინუ სანტუში (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 5 | 4 | 1 | 0 | 9:3 | 13 |
| ბენფიკა | 5 | 4 | 0 | 1 | 11:4 | 12 |
| ბელენენსეში | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 |
| ბრაგა | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 10 |
| გიმარაეში | 5 | 3 | 1 | 1 | 9:8 | 10 |
| ფერეირა | 5 | 3 | 0 | 2 | 10:4 | 9 |
| სეტუბალი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:4 | 8 |
| სანტა კლარა | 5 | 2 | 1 | 2 | 8:6 | 7 |
| ნასიონალი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| ვარზიმი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ბოავიშტა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| სპორტინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| ბეირა მარი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| მარიტიმუ | 5 | 1 | 1 | 3 | 2:9 | 4 |
| მორეირენსე | 5 | 1 | 0 | 4 | 6:9 | 3 |
| ლეირია | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| აკადემიკა | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |

## ნორვეგია

### XXIII ტური

**ბრანი 2:3 ვიკინგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 23 | 15 | 4 | 4 | 49:27 | 49 |
| მოლდე | 23 | 14 | 4 | 5 | 40:19 | 46 |
| ლინი | 23 | 14 | 4 | 5 | 33:24 | 46 |
| ვიკინგი | 23 | 10 | 10 | 3 | 42:27 | 40 |
| ოდ გრენლანდი | 23 | 11 | 4 | 8 | 32:26 | 37 |
| სტაბეკი | 23 | 10 | 6 | 7 | 36:28 | 36 |
| ვოლერენგა | 23 | 6 | 10 | 7 | 31:28 | 28 |
| სოგნდალი | 23 | 8 | 4 | 11 | 32:43 | 28 |
| ლილესტრიომი | 23 | 7 | 6 | 10 | 29:29 | 27 |
| ბრინი | 23 | 7 | 5 | 11 | 33:36 | 26 |
| ბოდო გლიმტი | 23 | 7 | 4 | 12 | 33:38 | 25 |
| ბრანი | 23 | 7 | 3 | 13 | 31:44 | 24 |
| მოსი | 23 | 6 | 5 | 12 | 29:39 | 23 |
| სტარტი | 23 | 2 | 5 | 16 | 21:63 | 11 |

## ჩეხეთი

### IX ტური

**სიგმა 3:0 იაბლონეცი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 8 | 5 | 3 | 0 | 13:3 | 18 |
| ლიბერეცი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:7 | 17 |
| სლავია | 8 | 4 | 3 | 1 | 17:7 | 15 |
| ბანიკი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:9 | 13 |
| იაბლონეცი | 8 | 3 | 4 | 1 | 9:9 | 13 |
| ჟიჟკოვი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:9 | 12 |
| ტეპლიცე | 8 | 4 | 0 | 4 | 11:14 | 12 |
| სიგმა | 8 | 2 | 4 | 2 | 10:8 | 10 |
| ბრნო | 8 | 3 | 1 | 4 | 10:11 | 10 |
| პრჟიბრამი | 8 | 2 | 3 | 3 | 5:6 | 9 |
| ბლშანი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:8 | 9 |
| ბოჰემიანსი | 8 | 2 | 2 | 4 | 12:15 | 8 |
| სინოტი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:11 | 8 |
| ზლინი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:13 | 7 |
| ბუდეიოვიცე | 8 | 2 | 0 | 6 | 9:19 | 6 |
| ჰრადეც კრალოვე | 8 | 0 | 5 | 3 | 6:10 | 5 |

## შვედეთი

### XXII ტური

**ჰელსინგბორგი 1:4 ნორჩიოპინგი**

**იორგრიტე 4:2 იურგორდენი**

**ჰამარბი 1:1 ელფსბორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 21 | 13 | 2 | 6 | 45:28 | 41 |
| იურგორდენი | 22 | 12 | 4 | 6 | 44:31 | 40 |
| იორგრიტე | 22 | 10 | 8 | 4 | 44:32 | 38 |
| აიკ | 22 | 7 | 9 | 6 | 31:31 | 30 |
| ჰელსინგბორგი | 22 | 8 | 6 | 8 | 34:37 | 30 |
| იორებრო | 21 | 8 | 6 | 7 | 25:30 | 30 |
| სუნდსვალი | 22 | 7 | 8 | 7 | 25:30 | 29 |
| ლანდსკრონა | 22 | 8 | 4 | 10 | 37:33 | 28 |
| ელფსბორგი | 22 | 7 | 6 | 9 | 24:29 | 27 |
| ჰამარბი | 22 | 6 | 8 | 8 | 36:36 | 26 |
| ჰალმსტადი | 22 | 5 | 11 | 6 | 25:26 | 26 |
| ნორჩიოპინგი | 22 | 6 | 7 | 9 | 32:32 | 25 |
| გოტებორგი | 22 | 7 | 3 | 12 | 24:36 | 24 |
| კალმარი | 22 | 5 | 6 | 11 | 18:33 | 21 |


სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია

ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი

აქსესუარები

1000 მეტი დასახელება

კიები, ბურთები, ნაჭრები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან, ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია



Titan ტიტანი

Zeus ზევსი

Biliijardai

მასტერი

Master

saluc

Bilgama

☎ 95-57-75, 95-88-46

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2





ჯორჯ კოენი ბულდოზერმიყენებულ „უემბლიზე" 36 წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა

# მშვიდობით, უემბლი!

**აჰა,** დაიწყო „უემბლის" ნამდვილი ნგრევაც: ლეგენდარული სტადიონის წყვილ კოშკს ბულდოზერები მიადგნენ.

გეგმით ისეა, რომ 2006 წლის ასოციაციის თასის ფინალი უკვე ახალ „უემბლიზე" უნდა გაიმართოს. ძველი „უემბლი", რომელიც 20-იან წლებში აშენდა და მაშინდელი 750 ათასი გირვანქა დაჯდა, ისტორიის წიგნებშიღა დარჩება.

ადრე „უემბლის" ადგილას ერთი წოწოლა კოშკი, „უოტკინს ფოლი" იდგა და ერთ მშვენიერ დღესაც წამოიქცა, მერე კი საბოლოოდ დაშალეს. ამ ადგილას „უემბლის" აშენება კი ბრიტანეთის იმპერიის დიდი გამოფენისთვის მზადების დროს ხდებოდა, ჟამსა მეფობისასა ჯორჯ მეხუთისასა.

სტადიონი გაიხსნა 1923 წელს ასოციაციის თასის ფინალით, რომელშიც „ბოლტონმა" 2:0 დასცა „ვესტ ჰემი". ამ თამაშს დაერქვა „თეთრი ცხენის ფინალი". ოფიციალური ცნობით, დამსწრე იყო 126,947 კაცი, არაოფიციალურით კი 200 ათასამდე. ისეთი ამბავი იყო, რომ მოედანზე შეჭრილი ხალხი ტრიბუნებზე ვერ ბრუნდებოდა და ერთმა პოლისმენმა, ჯორჯ ოკორიმ, თეთრ ცხენზე მჯდარმა ჭენებით დაიცვა მინდორი, რათა თამაში დაწყებულიყო.

„უემბლიზე" გამართულ დიდ ფინალთა შორის იყო ცნობილი ფინალი 1953 წლისა, რომელსაც „მეტიუზის ფინალი" დაერქვა. სტენლი მეტიუზის „ბლეკპული" 1:3-ს აგებდა „ბოლტონთან" და თამაშის დამთავრებამდე 22 წუთით ადრე დიდი შებრუნება დაიწყო მეტიუზის წყალობით: 4:3 მოიგო, სტენ მორტენსენმა კი ჰეთ ტრიკი ალასრულა. იმავ წელიწადს, ამ სტადიონზე წააგო ინგლისის ნაკრებმა 3:6 უნგრეთის დიდ გუნდთან და ეს იყო ინგლისელთა პირველი საშინაო მარცხი ისტორიაში კონტინენტურ გუნდებთან.

1966 წელს „უემბლიმ" უმასპინძლა ინგლისური ფეხბურთის უდიადეს მატჩს: მსოფლიოს თასის ფინალში ინგლისმა 4:2 მოუგო გერმანიას. ამ მატჩში გავიდა ჯეფ ჰერსტის გოლი, რომელიც დღემდე სალაპარაკოდ შექნილა, რადგან ხარიხიდან ასხლეტილი და მიწაზე დაცემული ბურთი კარის ხაზს იქით გვერდითმა მსაჯმა ტოფიკ ბახრამოვმა დაინახა და არა მთავარმა მსაჯმა გოლფრედ დინსტმა.

ინგლის — გერმანიამ დახურა ძველი „უემბლი" 2000 წლის ოქტომბერში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩით. გერმანიამ 1:0 მოიგო.

სხვაფრივ კი „უემბლი" ინგლისის სინონიმიც კია.

ახალი „უემბლის" პროექტი ზღაპრულია. მისი ასაშენებელი ფულის უმეტეს ნაწილს გერმანული ბანკები გაიღებენ, რაც კიდევ ერთხელ გაგვახსენებს გერმანელთა განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამ სტადიონისადმი. ორწლიანი გაჯანჯლების შემდეგ საქმე დაიძრა, ხალხს კი მაინც მოენატრება ძველი „უემბლის" კოშკები, რომლებიც არა მხოლოდ ფეხბურთზე, არამედ, ათას სხვა რამეზეც დააფიქრებს კაცს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კაპიკი უძახე...

**მართალია,** წინა სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედი" ერთ კინკილა ჯილდოსაც ვერ შესწვდა, მაგრამ ფული იმდენი მოიხვეჭა, მსოფლიოში კვლავაც უმდიდრესია.

ოლდტრეფორდელთა ფინანსური მენეჯერის დევიდ გილის თქმით, ბიზნეს-წელიწადში, ანუ ამა წლის 31 ივლისისთვის „მანჩესტერის" კაპიტალბრუნვამ 13 პროცენტით მოიმატა და 146,1 მილიონი გირვანქა შეადგინა.

გაიზარდა კლუბის აქციათა ფასიც. მათი საერთო ღირებულება ახლა 260 მილიონს შეადგენს. ერთი აქცია 3,1 პენსი ღირს, რაც 1,1 პენსით მეტია შარშანდელ ღირებულებაზე. თითქოს კაპიკია, მაგრამ ჯამში გვარიანი მატება კი გამოდის.

ახალი ფეხბურთელების გადაბირებამ სახელფასო ფონდი, ცხადია, გაზარდა. შესაბამისად, კლუბის სალაროს თითქმის ნახევარი — 48 პროცენტი, ხელფასების გადახდას ემსახურება. ხუან სებასტიან ვერონისა და რუუდ ვან ნისტელროის ხელფასები, პლუს რიო კინისა და დევიდ ბექჰემის განახლებული კონტრაქტები — აი, ეს არის ხელფასების ზრდის უმთავრესი მიზეზი.

თუმც მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი თავის სტატუსს მშვიდად ინარჩუნებს და კლუბის უფროსობის თქმით, წლეულს შემოსავალმა 48 პროცენტით მოიმატა. „ნაიკთან" და „ვოდაფონთან" დადებული და განახლებული კონტრაქტებიც მანჩესტერელთა მომავალ ფინანსურ უზრუნველობას უსვამს ხაზს.

„ჩვენი მიზანია, ზრდის ეს ტემპი შევინარჩუნოთ. ვფიქრობ, ამას შევძლებთ კიდეც" — განაცხადა დევიდ გილმა.

**სერგი ქორიძე**

# აბობოქრებული ვულ-კანი

## გერმანელთა მთავარმეკარეს მეორე შვილი მსოფლიოს ჩემპიონატისას ჩაუსახავს

**ლევერკუზენის** „ბაიერისა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ საიმშაბათო შეხვედრა ისედაც უხეში და ხისტი გამოდგა — ორივე გუნდის მოთამაშეებმა მსაჯ ჰელმუტ კრუგს ჯამში 68 ჯარიმა, 8 ყვითელი და ერთიც წითელი ბარათი გამოსტყუეს. მაგრამ ის, რაც მატჩის 36-ე წუთზე მოხდა, მაინც გამორჩეული რამ იყო. ამ ფაქტს გერმანიაში მხოლოდ სადაგ უხეშობად არ განიხილავენ.

საქმე ოლივერ კანის მორიგ გამოხდომას შეეხება. ალბათ გახსოვთ, თამაშგარეში მოხვედრილმა თომას ბრდარიჩმა მისი კარისკენ ყასიდად რომ დაამგლაჯუნა, გაშმაგებული კანი მეტოქეს მიეჭრა, ტორით კისერში ჩაბღუჯა და ისეთი ძალით დაიჭირა, კინაღამ თავი გააგდებინა.



ოლივერ კანმა თომას ბრდარიჩს სიკვდილი დაანახა

მართალია, კინაღამ არ ითვლება, მაგრამ გერმანელი კომენტატორები უკლებლივ იმ აზრისა არიან, რომ ჰელმუტ კრუგს კანისთვის ყვითელი ბარათის ნაცვლად უთუოდ წითელი უნდა ეჩვენებინა.

კრუგი თავს იმართლებს. იგი თვლის, რომ კანი პროვოკაციის მსხვერპლი შეიქნა.

მაგრამ, თუკი იმ სიტუაციაში ვინმეს „მსხვერპლობა“ ემუქრებოდა, ალბათ, ისევ ლევერკუზენელთა შემტევს, რომლის ნამატჩევი აღიარებითაც, როცა მან კისერზე კანის ტორი იგრძნო, თურმე სიკვდილის შიში დაუფლებია...

„ფეხბურთი კაცური სპორტია და არა მასხარაობა — ასე იგერიებს კანი ოპონენტებს — ბუნდესლიგაში ოთხას შეხვედრაზე მეტი ჩამიტარებია და ვერავინ მოიგონებს, ვინმე დამეშავებინოს. ბრდარიჩთან დაკავშირებით განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ რაკიღა ხალხს ერთი სული აქვს, სენსაცია ააგოროს, ამაზეც ერთი ამბავი ატეხეს. არადა, მორალისტებს უნდა უხაროდეთ, მე რომ ვარსებობ. იმავე ბრდარიჩმა იერემისს რომ კოჭში ჩაარტყა ან „შალკეს“ მეკარე როსტმა ერთ-ერთ თანაგუნდელს რომ უქიმუნჯა, ეგ არავის აინტერესებს. კანზე კი, თუნდაც სისულელე თქვი და მსმენელი თუ მყიდველი უმალ გამოჩნდება. ისე კი, ვინმე თუ თვლის, რომ მე არ ვიმსახურებ ბუნდესნაკრების კაპიტნობას — და ამ დღეებში უკვე ამასაც ლაპარაკობენ — მზად ვარ, დაუყოვნებლივ გადავდგე.“

შესაძლოა, გერმანიაში ეს მართლაც ბევრს სურდეს, მაგრამ მათ რიცხვში არც ნაკრების თავკაცი რუდი ფიოლერი და არც „ბაიერნის“ მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი არიან.

„ოლიმ იცის, რომ კარგად არ მოიქცა — ამბობს ფიოლერი — დარწმუნებული ვარ, ის ამ ფაქტზე მომავალშიც იფიქრებს და სათანადო დასკვნებსაც გააკეთებს. ოლი ძალზედ ემოციური პიროვნებაა და სწორედ ამიტომაცაა ასეთი კარგი. ჩემი აზრით, შაბათის ისტორია არ უნდა გაზვიადდეს და რაღაც უსაშველო ამბად არ უნდა გადაიქცეს.“

ოტმარ ჰიცფელდი კი თვლის, რომ იმის მიუხედავად, შეინარჩუნებს თუ არა კანი ნაკრების კაპიტნობას, ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს მის ანალოგიურსავე სტატუსზე „ბაიერნში“. „ის არის და იქნება ჩვენი კაპიტანი“ — დასძინა ჰიცფელდმა.

თუმცა ფიოლერსა და ჰიცფელდზე შეუდარებლად დიდი მხარდაჭერა კანმა ამ დღეებში საკუთარი მეუღლისგან მიიღო. როგორც ქერამშვენიერ სიმონეს აუწყეს, ის უკვე ოთხი თვის ფეხმძიმე ყოფილა და სადღაც თებერვალში გერმანელთა მთავარმეკარე ორგზის მამა უნდა გახდეს.

„ისე გამოდის, რომ ეს ბავშვი გაგანია მსოფლიოს ჩემპიონატისას ჩაისახა“ — იცინის კანი.

ხოლო რაკიღა სიტყვამ მოიტანა, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ სიმონე და ოლივერი 1999 წლის 10 ივნისიდან ცოლქმრობენ და, რომ მათი პირმშო ანაკატარინა უკვე სამი წლის ცუგრუმელა გოგონაა...

სულ ბოლოს ეგებ რამდენიმე ის ფაქტიც მოგვეგონებინა, რამაც ანა-კატარინას 33 წლის მამას გერმანიაში ერთი ყველაზე შლეგი და რემბოკაცის სახელი დაუგდო:

1996 წლის 14 აპრილს მან თავისი საჯარიმოდან სულ მუჯლუგუნებით გააგდო თანაგუნდელი ანდრეას ჰერცოგი, რომელმაც თავით ბურთის მოგერიება ვერ შეძლო;

1999 წლის 3 აპრილს დორტმუნდის „ბორუსიასთან“ შეხლისას ის ჯერ კუნფუსებრი მავაშიგერით მიეძალა შტეფან შაპუიზას, მერე კი ჰაიკო ჰეირლიხს დაუპირა ყელის გამოღადვრა;

მოსაგონარია 2001 წლის 3 მარტის ამბავიც, როცა შეხვედრის დამლევს როსტოკელთა საჯარიმოში შეჭრილმა ბურთი მეტოქის კარში თავისი მძლავრი მარჯვენით ჩაჩაქუჩა.

**ლევან ძელაურაძე**



ოლივერ კანს თავის დროზე ხელითაც გაუტანია და შტეფან შაპუიზაც ჩაუწიხლავს



ფეხბურთის ...



**ბულგარული** „ბოტევის“ ბოსებმა გადაწყვიტეს, რომ მორიგი ტურის წინ ფეხბურთელებმა ღამე მონასტერში გაატარონ. ამის მიზეზი კლუბის წარუმატებელი სტარტია. ექვსი თამაშის შემდეგ „ბოტევი“ სამი ქულით ბოლოდან მესამე ადგილზეა. მომავალ ტურში მონასტერში ღამენათევ ფეხბურთელებს კი „ლიტექსის“ დამარცხების და გუნება-განწყობილების გამოკეთების იმედი აქვთ.

**ბრაზილიის ნაკრების და „დეპორტივოს“ ყოფილი ფორვარდი ბებეტო კარიერას საუდის არაბეთში გააგრძელებს. მან ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი კლუბ „ალ იტიჰადთან“ და სანაცვლოდ მილიონ 100 ათას დოლარსაც შეიტყაპუნებს. „მოხარული ვარ, რომ ამ ქვეყანაში საკუთარი ძალების მოსინჯვის საშუალება მეძლევა. იმედი მაქვს, ახალ გუნდთან ერთად წარმატებებს მივაღწევ“ — განაცხადა ფეხბურთელმა.**

**შოტლანდიური** „სელტიკის“ შვედმა მეკარემ მაგნუს ჰედმანმა შესაძლოა, ექვსი კვირით დაისვენოს. მას ფეხის კუნთის სერიოზული ტრავმა აღმოაჩნდა. იგი ალბათ ვერც თავის ნაკრებს დაეხმარება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. უსიამოვნო ამბით ჰედმანი გაოგნებულია: „ტრავმა უდროო დროს მივიღე, მაშინ, როცა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას ვცდილობდი. გამოჯანმრთელების შემდეგ ხელახლა მომიწევს ოფლის ღვრა, რათა ჩვეული ფორმა დავიბრუნო.“

**საბერძნეთის ფეხბურთელთა პროფკავშირმა ფედერაციას თხოვნით მიმართა — დაწესდეს მკაცრი ლიმიტი უცხოელ ფეხბურთელებზე. ბერძენთა უმაღლესი ლიგის 16 გუნდში 145 უცხოელია. მაშინ, როცა იგივე ინგლისური პრემიერლიგის 20 კლუბში მათი რიცხვი 110-ია. ამჟამად საბერძნეთში თითოეულ კლუბს 5 არაევროკავშირელის ყოლის უფლება აქვს, რაც შეეხება ევროკავშირელებს, მათზე შეზღუდვა არ არსებობს. პროფკავშირის მოთხოვნა ასეთია: ერთ გუნდში იყოს მაქსიმუმ 2 არაევროკავშირელი, მთლიანად კი უცხოელთა რაოდენობამ 10-ს არ გადააჭარბოს.**

**ინგლისური** „ტოტენჰემის“ ყოფილი ფორვარდი, გერმანელი იურგენ კლინსმანი ლონდონური გუნდის შემადგენლობაში ერთ მატჩს კიდევ ჩაატარებს. 17 ოქტომბერს „ტოტენჰემი“ და ამერიკული „DC იუნაიტედი“ საქველმოქმედო შეხვედრას გამართავენ. ამჟამად კლინსმანი „DC იუნაიტედში“ კონსულტანტად მუშაობს და ეს იდეაც მას ეკუთვნის. მთელი შემოსავალი „ტოტენჰემის“ ყოფილი მოთამაშეების დახმარების ფონდში გადაირიცხება.

**გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი და მიუნხენის „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე ამ კვირაში სადავო საკითხების განსახილველად ერთმანეთს შეხვდებიან. „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა კავშირს კომპენსაციას სთხოვს სებასტიან დაისლერის გამო, რომელმაც მარტში ავსტრიასთან ამხანაგური მატჩისას ტრავმა მიიღო.**

**უკრაინის** ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ თავდამსხმელი სერგეი რებროვი შესაძლოა, მოსკოვის „სპარტაკში“ აღმოჩნდეს. რებროვის „სპარტაკში“ გადასვლაზე ადრეც იყო საუბარი, მაგრამ რუსებს თანხა ეძვირათ. ახლა, „ტოტენჰემში“ რობი კინის მისვლის შემდეგ, ეგებ ლონდონელებმა რებროვი ოდნავ მაინც გააიაფონ, რადგან გუნდში მისი ადგილი ფაქტობრივად აღარც არის. „გლენ ჰოდლი დღეგამოშვებით მესალმება, ხოლო თანაგუნდელებს ვერ გაუგიათ, რატომ არ მათამაშებს მწვრთნელი“ — თქვა გულდათუთქულმა ფეხბურთელმა.

**გერმანული „ბაიერნის“ ფეხბურთელი მეჰმეთ შოლი უკვე გამოკეთდა და გუნდთან ერთად ვარჯიშს შეუდგა. არსებობს სულ მცირე, მაგრამ მაინც შანსი იმისა, რომ იგი ბუნდესლიგის მომავალი ტურის მატჩში ითამაშებს.**

**ინგლისური** „არსენალი“ უარყოფს გავრცელებულ ცნობას იმის თაობაზე, თითქოს სეზონის ბოლოს დენის ბერხკამპი კარიერას დაასრულებს. „დენისს უნდოდა, ეთქვა, რომ მის ასაკში ძველებურად ველარ ითამაშებს, თუმცა ამის გამო ლურსმანზე ბუცების ჩამოკიდებას სულაც არ აპირებს“ — განაცხადა „არსენალის“ პრესატაშემ.

**გერმანული „ბაიერნის“ მოთამაშე იენს იერემისს კლუბთან კონტრაქტის ვადა 2003 წლის 30 ივნისს უმთავრდება. ფეხბურთელს ჯერ არ გადაუწყვეტია, დარჩება თუ არა მიუნხენში. „გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, შეიძლება ოდესმე აქედან ავიბარგო კიდეც, მაგრამ როდის? ეს ნამდვილად არ ვიცი“ — ბრძანა იერემისმა.**

**პორტუგალიური** „სპორტინგის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა მარიო ჟარდელმა ოთხთვიანი შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა — „სპორტინგის“ ექიმ გომეშ პერეირას აზრით, ჟარდელი საუკეთესო ფორმისგან ჯერ შორსაა, მაგრამ ცუდიც არ ეთქმის. თავად ფეხბურთელი ოპტიმისტურად არის განწყობილი. „მე წინ და უკან ბევრი სირბილი სულაც არ მჭირდება. ჩემი საქმე გოლის გატანაა. თავიდან მომიწევს იმის დამტკიცება, რომ მაღალი კლასის მეგოლე ვარ და ამას დავამტკიცებ კიდეც“ — თქვა ჟარდელმა, რომელიც ცოლთან გაშორების შემდეგ მიღებული სტრესისგან გამოვიდა.

**იტალიური „იუვენტუსის“ ფრანგმა ფორვარდმა დავიდ ტრეზეგემ განაცხადა, რომ იგი ჯერ არ არის სათანადოდ მომზადებული იმისთვის, რომ ნაკრებს დაეხმაროს: „ნაკრებში მაშინ ვითამაშებ, როცა კარგ ფორმაში ვიქნები, საამისოდ კი ჯერ დრო მჭირდება.“**

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირი არასპორტული საქციელისთვის დისციპლინარულ სასჯელს დააკისრებს ბერლინის „ჰერტას“ სპორტულ დირექტორს დიტერ ჰიონესსა და გოლკიპერ დაბორ კირალის — „მიუნხენ 1860“-თან მატჩისას მათ მსაჯები გალანძღეს. კირალიმ მიუნხენელი მარკუს შროტის გატანილი გოლი გააპროტესტა. მისი თქმით, თავდამსხმელმა ბურთი ხელით გაისწორა. ჰიონესმა კი ნამატჩევს განაცხადა, „ჰერტას“ წინააღმდეგ 17 კაცი თამაშობდაო (3 შეცვლაზე შესული და მსაჯთა სამეული იგულისხმა). რა სახის იქნება სასჯელი, უცნობია. ჯერჯერობით კავშირმა ბერლინელებს საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოსთხოვა.

**კვიპროსის მეორე დივიზიონის „ონისილოს სოტირასისა“ და პიტსილიასის „აპეპის“ მატჩისას ტრაგედია დატრიალდა. ონისილოსელი 33 წლის ფორვარდი მიხალის მიქაელი დაშავებული თანაგუნდელის მოსახმარებლად გარბოდა, როცა მინდორზე დაეცა და სული განუტევა. მიქაელის სიკვდილის მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარბი და ცუდი მწვრთნელები



ნიუელს ოლდ ბოიზი — ბოკა ხუნიორსი. ბუენოსაირესელმა ანტონიო ბარიხომ მწვრთნელს ვერაფრით აამა

## არგენტინა

### აპერტურა

80-10 ტური: ურაკანი — ინდეპენდიენტე 0:2; რივერ პლეიტი — როსარიო სენტრალი 5:2; ნიუელს ოლდ ბოიზი — ბოკა ხუნიორსი 1:1; არსენალი — ტალიერესი 3:0; ჩაკარიტა ხუნიორსი — ნუევა ჩიკაგო 1:0; ხიმნასია — ესტუდიანტესი 3:1; რასინგი — სან ლორენსო 1:1; კოლონი — უნიონი 1:0; ოლიმპო — ლანუსი 2:0;ველეს სარსფილდი — ბანფილდი 3:0

**გაილია** აპერტურას ნახევარი და ათი ტურის თავზე ჩემპიონატს ლიდერობს წითელი სამოსით მოთამაშე „ინდეპენდიენტე", რომლის მწვრთნელიცაა ძველი მსოფლიოს ჩემპიონი ამერიკო გალიეგო.

გასულ ტურში გალიეგოს გუნდმა 2:0 მოუგო გასვლით მატჩში ბოლო ადგილზე დამკვიდრებულ „ურაკანს", რომელსაც, თავის მხრივ არგენტინული ფეხბურთის ლეგენდა, კარლოს ბაბინგტონი წვრთნის. ამ ორი გოლიდან პირველი ლუკას პუსინერიმ გაიტანა პირველსავე ტაიმში, მეორე და ულამაზესი კი ანდრეს სილვერამ მეორეს მიწურულს — სილვერამ ნახევარი მოედანი გადაიქროლა ბურთით და გზად შემხვედრი ყველა მოატყუა.

„ინდეპენდიენტეს" კუდში მისდევს „რივერ პლეიტი", რომელმაც შინ 5:2 მოუგო ლუის მენოტის „როსარიო სენტრალს". „რივერი" ერთხანს აგებდა კიდეც, მაგრამ ოცდახუთწუთიან მონაკვეთში ზედიზედ ოთხი გოლი გაუტანა სტუმრებს. ამ 25 წუთში ემილიანო პაპას გოლს მასპინძლებმა ანდრეს დალესანდროს დუბლით, მარტინ დემიშელისის და ალეხანდრო როდრიგესის გოლებით უპასუხეს. ამას მოჰყვა გ ტავო ბაროს შელოტოს ერთი საპასუხო და თინეიჯერ ფერნანდო კავენაგის მეხუთე.

ამ მარცხით „როსარიო" მეხუთე ადგილამდე ჩავარდა და გზა გაუთმო „ბოკასა" და ბოლოხანს წამოქაჩულ „ველეს სარსფილდს".

ამ კვირაში ბევრი კრიტიკა შეხვდა „ბოკას" მწვრთნელ ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესს. გუნდმა ჯერ შინ წააგო „რასინგთან", ახლა კი ფრე ძლივს მოიპოვა გასვლით მატჩში „ნიუელს ოლდ ბოიზთან".

### ისიდორო ბაროდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდეპენდიენტე | 10 | 7 | 2 | 1 | 29:10 | 23 |
| რივერ პლეიტი | 10 | 6 | 3 | 1 | 19:7 | 21 |
| ბოკა ხუნიორსი | 10 | 5 | 3 | 2 | 17:9 | 18 |
| ველესი | 10 | 5 | 3 | 2 | 14:5 | 18 |
| როსარიო | 10 | 5 | 2 | 3 | 22:13 | 17 |
| სან ლორენსო | 10 | 4 | 4 | 2 | 14:12 | 16 |
| კოლონი | 10 | 4 | 4 | 2 | 14:16 | 16 |
| არსენალი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:10 | 15 |
| ოლდ ბოიზი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:10 | 15 |
| უნიონი | 10 | 4 | 3 | 3 | 10:10 | 15 |
| ჩაკარიტა | 10 | 4 | 2 | 4 | 10:12 | 14 |
| რასინგი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:17 | 12 |
| ოლიმპო | 10 | 2 | 4 | 4 | 13:15 | 10 |
| ტალიერესი | 10 | 2 | 4 | 4 | 9:13 | 10 |
| ბანფილდი | 9 | 2 | 3 | 4 | 6:9 | 9 |
| ხიმნასია | 10 | 2 | 3 | 5 | 8:13 | 9 |
| ლანუსი | 9 | 2 | 3 | 4 | 4:12 | 9 |
| ნუევა ჩიკაგო | 9 | 1 | 4 | 4 | 6:9 | 7 |
| ესტუდიანტესი | 10 | 1 | 2 | 7 | 7:21 | 5 |
| ურაკანი | 10 | 1 | 2 | 7 | 8:23 | 5 |

# მარჩანჩალათა გამოღვიძება



„კორინთიანსის" ჟილის დუბლმა გაალიდერა

| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | შ | სენტ გალენი 1:0 | 90 | 1 გოლი | 6 | 1 | 10 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | ს | გრასჰოპერი 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | კრილია 0:1 | 76 | შეცვალეს | 10 | 5 | 13 |
| გია იმედაძე | ალანია | ს | კრილია 0:1 | 0 | ტრანსფერზეა | 10 | 2 | 13 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | კრილია 0:1 | 89 | შეცვალეს | 11 | 5 | 13 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | სატურნი 2:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 12 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | დინამო 0:1 | 90 | | 23 | 1 | 15 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | შ | ზილ 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 14 | 0 | 5 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | ზილ 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | | ტური გამოტოვა | | | 2 | 0 | 3 |
| სევასტი თოდუა | ურალანი | | ტური გამოტოვა | | | 2 | 0 | 11 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | ჩერნომორეცი 2:0 | 0 | | 7 | 0 | 9 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ჩერნომორეცი 2:0 | 90 | | 11 | 6 | 9 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟია | შ | მ. მარიუპოლი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 2 | 12 |
| გიგლა ახალაია | მ.ზაპოროჟია | შ | მ. მარიუპოლი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 12 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | დნიპრო 0:3 | ? | | ? | 6 | 3 |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | შახტარი 1:3 | 45 | შეცვალეს | 5 | 2 | 6 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | შ | ვორსკლა 2:1 | 90 | | 3 | 0 | 10 |
| მიხეილ ფოცხვერია | დნიპრო | ს | არსენალი 3:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| **პოლონეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | შ | ვისლა 1:1 | 90 | | 7 | 1 | 5 |
| **საბერძნეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | | ტური გამოტოვა | | | 3 | 0 | 8 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | ლოკომოტივი (ს) 1:0 | ? | 1 გოლი | 6 | 4 | 7 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | ვენსტპილსი 1:1 | 63 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 16 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | ვენსტპილსი 1:1 | 0 | | 14 | 2 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | ვენსტპილსი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 3 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | | ტური გამოტოვა | | | 14 | 1 | 8 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

# ფილიამ წიტაიშვილი ისრაელს აარიდა

ზუგდიდის „ოდიშის“, თბილისური „შევარდენის“, თსუ-სა და „დინამოს“ ყოფილი ფორვარდი კობა წიტაიშვილი ბოლო წლებში ისრაელში თამაშობდა. ოფიციალური კონტრაქტით თელ ავივის „მაკაბის“ საკუთრება და იჯარის წესით „რიშონში“ განათხოვრებული ქართველი თავდამსხმელი ზაფხულს აქეთ ახალი კლუბის ძიებაში იყო. „ოთხ თვეში „მაკაბისთან“ კონტრაქტი მიმთავრდება, ნაახალწლევს რუსული „შინიკის“ თავკაცები მელოდებიან, მანამდე კი არ მინდა უთამაშებელი დავრჩე და ფორმიდან ამოვარდე, არეულ და ტერაქტებით შეწუხებულ ისრაელში დაბრუნებას დეკემბრამდე საქართველოში თამაში მიჯობს.“ — ჩიოდა შეფიქრიანებული წიტაიშვილი.

მან ჯერ „დინამოს“ კარი შეაღო, მერე „ლოკომოტივში“ სცადა ბედი, „ვიტ ჯორჯიასაც“ ჩამოუგდო სიტყვა, მაგრამ ოთხი თვით არც ერთმა შეძლებულმა თბილისურმა კლუბმა არ მიიღო ნიჭიერი ფორვარდი.

ზუგდიდელმა ფეხბურთელმა ბოლოს ისრაელში დაბრუნება გადაწყვიტა, აქ უარი მითხრეს, ისღა დამრჩენია, ცოლ-შვილი ზუგდიდში დავტოვო და „რიშონში“ ვითამაშოო. გასამგზავრებლად გამზადებული კი ფოთში აღმოჩნდა. სოსო ფილიამ ბოლო წამს მისი გადაბირება მოასწრო და დიდი ხნის გულისწადილიც აისრულა. ფილიას აქამდეც არაერთხელ უცდია წიტაიშვილის „კოლხეთში“ გადაბირება.

კობას მომავალ ტურშივე შეეძლება ფოთელთა მაისურა მოირგოს და ფილიას შეეწიოს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცის პირველივე მოთხოვნაზე ებრაელებმა წიტაიშვილის სატრანსფერო ფურცელი გამოაგზავნეს.

ასე რომ, დეკემბრამდე ფილიამ თავდასხმაში პრობლემა მოაგვარა, მერე წიტაიშვილი „შინიკს“ მიაკითხავს, ფოთლები კი, ალბათ, სხვა მეგოლეს იპოვიან.

**გამუკა ძვანტალიანი**



კობა წიტაიშვილმა (მარცხნივ) თელ ავივს ფოთი არჩია

## დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირი

# ბასკოობა გადავარდა? დინამომ ქულებს აუწია

**მატჩი მე-5 ადგილისთვის**
**ბასკო 132:84 მაკაბი**
**მატჩი მე-3 ადგილისთვის**
**სტუ-ჯეოსელი 84:64 აზოტი**
**ფინალი**
**დინამო 96:63 თსუ**

**...დუდუ დადიანის** ძმისშვილმა, ციცქნა სანდრიკომ, ბიძამისის სახელობის თასი „დინამოს“ კაპიტან დავით თორთლაძეს გადასცა...

ლევან მოსეშვილის გუნდი ახლადარსებული ტურნირის პირველი გამარჯვებული შეიქნა და ეს ისე მოახერხა, წინააღმდეგობა თითქმის არ შეხვედრია.

ფინალისტთა ვინაობა „დინამო“ — „სტუ-ჯეოსელისა“ და თსუ — „ბასკოს“ წყვილებმა გაარკვიეს. ამჟამად ეს ოთხი გუნდი მიიჩნევა წამყვანებად ქართულ კალათბურთში და მომავალ ჩემპიონატში მედლების განაწილებასაც მათგან ელიან. ამიტომაც საინტერესო ბრძოლას ვარაუდობდნენ, მაგრამ არ გამოვიდა ეს საქმე: ნახსენებ წყვილთა შორის განსხვავება ანგარიშებიდანაც ნათლად ჩანს: „დინამომ“ 96:73 გაიმარჯვა, თსუ-მ — 114:96.

„სტუ-ჯეოსელი“ მხოლოდ პირველ ათწუთეულში გაუძალიანდა „დინამოს“, მერე კი ჩამორჩა და რომ არა მკლავმოშუშებული კოტე ტულუშისა და გიორგი გაგნიძის პერიოდული გარღვევები, კიდევ უფრო დიდი ანგარიშით დამარცხდებოდა. თსუ-მ კი „ბასკოს“ ჩამოხსნა ჩემპიონის ნიღაბი. ბათუმელებმა თუ შემადგენლობა დროზე არ გაიძლიერეს, ჩემპიონობას ვინ ჩივის, უმედლებოდ დარჩენა ემუქრებათ. თსუ ნიადაგ წინ იყო სადებიუტო წუთების გარდა და „ბასკოს“ მცდელობას, დამუშავებული კომბინაციებით ეხეირა, კონტრშეტევებითა და შორი სროლებით ახშობდა. ბოლო მეოთხედში ზვიად მიქაძის ოთხმა სამქულიანმა ბათუმელებს იმედი გადაუწურა და ჯგუფში ბოლო ადგილი და „მაკაბისთან“ მეხუთე (!) ადგილისთვის მეტოქეობა არგუნა.

ფინალს კი ფინალისა არაფერი ეცხო: „დინამომ“ ერთი მეოთხედი აცალა თსუ-ს და მერე იოლად მოდრიკა. ვლადიმერ ბეჟანიშვილმა საიდანაც ისურვა, იქიდან ჩაუგდო სტუდენტებს, სხვებიც არ ჩამორჩნენ „პაკოს“ და საბოლოოდ დინამოელებმა 32 ქულით გაიმარჯვეს. არც მანამდელი მატჩები იყო საცქერლად ვარგისი: „ბასკომ“ თსუ-სთან დამარცხების ბოღმა „მაკაბიზე“ ამოანთხია, ევროპული კალათბურთისთვის უჩვეულოდ ბევრი — 132 ქულა ჩაუგდო. „მაკაბიმ“ ტურნირი ისე გაასრულა, 40 ქულაზე ნაკლებით არ დამარცხებულა.

მხოლოდ „აზოტ“ — „სტუ-ჯეოსელის“ სამესამეადგილო შეხვედრაში თუ იყო ბრძოლა, ისიც პირველ ტაიმში. კარგად შეკრულ-შეთამაშებული რუსთაველები შემადგენლობით ერთი თავით მაღლა [illegible] სტუდენტებს ერთხანს უგებდნენ, [illegible] მესამე მეოთხედში ლიდერი რამაზ გოგობერიძე გაუვარდათ და ფარ-ხმალიც დაყარეს.

ამ ტურნირმა მეტ-ნაკლებად გამოაჩინა თითოეული გუნდის ამბიცია-შესაძლებლობები კარსმომდგარი ჩემპიონატის წინ. დავაზუსტოთ: დინამოსნაირი ამბიცია არავის აქვს, ხოლო ვინ რისი მაქნისია, სეზონი წინაა და გამოჩნდება. მაგრამ თუ დანარჩენებმა რამე არ იღონეს, გუნდის შეწყობაზე არ იზრუნეს და ლეგიონერები არ შეიმატეს, არა გვგონია, ლევან მოსეშვილის გუნდს შემჩერებელი გამოუჩნდეს. დინამოელებმა ხომ თითქმის ოფლმოუდენად, დიდი რეზერვით მოიგეს დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირი: ორი ლიდერი — ირაკლი ხომშტარია და ჯაფარიძე ჯერაც გამოსაჯანმრთელებელია, თანაც, როგორც ლევან მოსეშვილმა თქვა, დღედღეზე ამერიკელ და იუგოსლაველ კალათბურთელებს ელიან.

**ირაკლი ბერტაია**

---

*ამ შაბათ-კვირას საგრძნობლად გამოცოცხლდა მომცრო, პროვინციული ქალაქი მასაჩუსეტსის შტატში, სპრინგფილდი. ქალაქს, სადაც საუკუნის წინ კანადელმა მასწავლებელმა ჯეიმს ნეისმიტმა კალათბურთი გამოიგონა და სადაც მდებარეობს სპორტის ამ სახეობის დიდების დარბაზი, რამდენიმე დღით ესტუმრნენ კალათბურთის ლეგენდები. დიდების დარბაზმა დიდი ზარ-ზეიმით გაუღო კარი რამდენიმე თვის წინ არჩეულ ექვს ახალ წევრს. აი ისინიც: მეჯიქ ჯონსონი, დრაჟენ პეტროვიჩი, ლარი ბრაუნი, ლუტ ოლსონი, კაი იოუ და საკალათბურთო ცირკი „ჰარლემ გლობტროტერზი“. ირვინ, იგივე „მეჯიქ“ ჯონსონს „ხელისმომკიდედ“ ძველი მტერი-მოყვარე ლარი ბერდი ჰყავდა. ლარიმ წარუდგინა ახალ, 45 მილიონად აგებულ დარბაზში თავმოყრილ აუდიტორიას ჯადოქარი და დაასახელა მისი ტიტულები*


REUTERS
მართლა დიდები: ლარი ბერდი და მეჯიქ ჯონსონი

# აქ რჩეულთ ზურგი ეფხანებათ ექვსი ფრთაშესხმა დიდების დარბაზში

„მეჯიქი“ ყველაფრის ჩემპიონია გარდა მსოფლიოსი, ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ტურნირში, რომელსაც მის დროს დიდი წონა არ ჰქონდა, მას არასდროს მიუღია მონაწილეობა. მეჯიქ ჯონსონი გახლავთ 1979 წლის სტუდენტური ჩემპიონატის ჩემპიონი, ნბა-ს 5-გზის ჩემპიონი და 1992 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი. ბარსელონის ოლიმპიადაზე ის ლარი ბერდთან ერთად „ოცნების გუნდის“ კაპიტანი იყო და უკვე კალათბურთიდან წასულმა, შიდსით ინფიცირებულმა მოუპოვა ამერიკელებს ოქროს მედალი. მეჯიქს არც პირადი ტიტულები აკლია — სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული სამჯერ მოუპოვებია და ამდენჯერვე პლეი ოფის ფინალებში დაუსახელებიათ ყველა სხვაზე უკეთესად. 13 სეზონი ითამაშა ნბა-ში და მხოლოდ ერთხელ, ისიც ტრავმის გამო ვერ მოხვდა ყოველწლიურ ვარსკვლავთმატჩზე, ხოლო 1990 და 1992 წლებში „ოლ სტარის“ უძვირფასესი მოთამაშეც გახდა. ნბაში ვერავის გააკვირვებ 13 ნათამაშები სეზონით, მეჯიქმა კი ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრი მოასწრო. 17 707 ქულასთან ერთად მან 10 141 პასიც დააგროვა და კარგა ხანს ითვლებოდა ნბა-ს ყველა დროის უპირველეს მეპასედ, სანამ 1995 წელს ჯონ სტოქტონმა არ გადაასწრო.

შეიძლება დაუსრულებლად ილაპარაკო მეჯიქის ტიტულებზე და მიღწევებზე. კალათბურთის ჯადოქარმა ძალიან ბევრი წამოიღო კალათბურთიდან, მაგრამ არავინ ამაღლის, რადგან გაცილებით მეტი იქით მიიტანა. ჯონსონმა და ლარი ბერდმა 80-იან წლებში ახალი სული შთაბერეს, გამოაცოცხლეს და მანამდე არნახულ სიმაღლემდე აიყვანეს კალათბურთი. ამ ორი ლეგენდის, მოედანზე მტრების და მის გარეთ გულითადი მეგობრების დაპირისპირებამ სათავე დაუდო იმ პროცესს, რომლის შედეგადაც ნბა რამდენიმე წელიწადში მსოფლიოში ყველაზე დიდფულიან სპორტულ ლიგად იქცა. მეჯიქს დიდების დარბაზში ასეულზე მეტი წევრი დახვდა. ამათგან ცალი ხელის თითებიც ეყოფა მათ ჩამოთვლას, ვისაც კალათბურთის განვითარებაში მასზე მეტი ღვაწლი მიუძღვის.

მაგრამ კალათბურთი მხოლოდ მეჯიქ ჯონსონი არაა და იმ ვარდისფერ საღამოს სხვა განდიდებულებსაც ერგოთ ტაში და ოვაცია. სამწუხაროდ, საღამოს მეჯიქის უკვდავი ღიმილის გარდა ცრემლიც ახლდა სევდიან სამკაულად. ექვსი განდიდებულიდან ერთი ცოცხალი აღარაა. 1993 წელს ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა ხორვატი ბიჭი დრაჟენ პეტროვიჩი. იგი პირველი ევროპელი იყო, ვინც ამერიკელების სიმაღლეზე გასწორდა და ქედი არ მოუხარა მათ. მისთვის ბოლო სეზონში პეტროვიჩი ბომბარდირთა ათეულში და ნბა-ს მესამე ხუთეულში შევიდა. ის ჯერ კიდევ ალმავლობის გზაზე იდგა და გაცილებით მეტს მიაღწევდა, რომ არა მუხთალი ბედისწერა. 28 წლისა გარდაიცვალა დრაჟენ პეტროვიჩი. საღამოს დედამისი ესწრებოდა.


დრაჟენ პეტროვიჩი
კალათბურთშიც ცხონდა

დიდების დარბაზის მუდმივი ბილეთი სამართლიანად ერგო დამსახურებულ მწვრთნელს ლარი ბრაუნს. მწვრთნელობაში გაჭაღარავებული ბრაუნი ერთადერთი ადამიანია ჩვენს პლანეტაზე, ვისაც 6 სხვადასხვა გუნდი გაუყვანია ნბა-ს პლეი ოფში. მათგან ბოლო „ფილადელფიაა“ და ყველაზე მეტად აქ მუშაობისას დაფასდა ბრაუნის ცოდნა-უნარი. 2000-01 წლების სეზონში იგი კოლეგათა შორის საუკეთესოდ აღიარეს, იმავე სეზონში მან „სიქსერზი“ ნბა-ს ფინალში გაიყვანა. 30 წელია, ნბა-ში მწვრთნელობს და ამ ხანში 831 გამარჯვება მოუპოვებია 651 მარცხის წილ. ბრაუნს ნბა-ს გარეთ მწვრთნელობაშიც გაუთქვამს სახელი, 70-იან წლებში არსებულ ლიგაში, აბა-ში საMგზის დაუსახელებიათ სეზონის საუკეთესო მწვრთნელად. აგრეთვე 1980 წელს UCLA-ს უნივერსიტეტისთვის, ხოლო 1989 წელს კანზასის უნივერსიტეტისთვის მოუგებინებია სტუდენტური ჩემპიონატი.

დიდების დარბაზის ახალ წევრთაგან კიდევ ორი გახლავთ სტუდენტ კალათბურთელთა ამაგდარი მასწავლებელი. ლუტ ოლსონი 29 წელია, სტუდენტებს მოძღვრავს და მხოლოდ 255 მარცხის საპირისპიროდ 767 გამარჯვება დაუგროვებია. 1997 წელს მან არიზონელ სტუდენტები აჩემპიონა. 1986 წელს იგი ამერიკელ სტუდენტთა ნაკრებს თავკაცობდა მსოფლიოს ჩემპიონატზე და სამშობლოს მსოფლიოს ოქრო მოუხვეჭა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო აშშ-ს ბოლო ნაკრები, რომელმაც ნბა-ელთა გამოჩენამდე მოიგო დიდი საერთაშორისო რაგინდარა ტურნირი.

ქალბატონ კაი იოუსაც სტუდენტურ, ოღონდ ქალთა კალათბურთში მწვრთნელობით მოუპოვებია დიდება. ის ძირითადად სახელგანთქმულ ჩრდილოეთ კაროლინას მეთაურობდა და ამ საქმეში 568 გამარჯვება და 249 დამარცხება შეაგროვა. იოუს ნაკრებსაც თამამად ანდობდნენ და ისიც ამართლებდა, 1986 წელს ამერიკელ ქალებს მსოფლიოს ჩემპიონატი, ხოლო 1988 წელს სეულის ოლიმპიადა მოაგებინა.

დაბოლოს, წარმოგიდგენთ უძველეს საკალათბურთო გუნდ „ჰარლემ გლობტროტერზს“, რომელსაც უფრო ხშირად საკალათბურთო ცირკსაც უწოდებენ. „ჰარლემ გლობტროტერზი“ 1927 წლიდან არსებობს და ამ ხნის მანძილზე 20 000-ზე მეტი თამაშწარმოდგენა გაუმართავს 117 ქვეყანაში. დღეს, როცა კალათბურთმა მსოფლიო მოიცვა და დღითი დღე ახალ მწვერვალებს იპყრობს, რეზინის ბურთის ჟონგლიორები ისე ველარ განაცვიფრებენ ხალხს, როგორც 50-იან და 60-იან წლებში, მაგრამ „ჰარლემ გლობტროტერზი“ შეიძლება დიდების დარბაზის ღირსეულ წევრად ჩაითვალოს, როგორც კალათბურთის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილის შემტანი გუნდი. „ჩვენ აგერ, სამი მეოთხედი საუკუნეა, კალათბურთისა და დემოკრატიის პროპაგანდას ვეწევით მთელ მსოფლიოში“ — ამბობს „გლობტროტერზის“ მეპატრონე მანი ჯექსონი.

**ირაკლი ფირჯყვილი**


REUTERS
კალათბურთის დიდების ახალი, 45-მილიონიანი დარბაზი არც პატარებისთვისაა დახშული



REUTERS ფოტოქრონიკა

ხუან კარლოს ფერერო



REUTERS ფოტოქრონიკა

დაბადებისდღეჩაშხამებული მარტინა ჰინგისი

# ესპანელები ახალ მიჯნებს იპყრობენ

## მარტინას დაბადების დღე ჩაუკრემლეს

**SALEM OPEN**
ჰონკონგი. ჰარდი
საპრიზო 400 ათასი $

**ნახევარფინალი**
**ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი)** — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:4, 6:2; **კარლოს მოია (3, ესპანეთი)** — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 7:6 (7:1)

**ფინალი**
**ფერერო** — მოია 6:3, 1:6, 7:6 (7:4)

ხუან კარლოს ფერეროსა და კარლოს მოიას ერთმანეთის შორის უშუალო შეხვედრების გარკვევა უკვე მერვედ მოუხდათ და კოლუმბიქმა, რომელიც 25 წლის თვისტომზე სამი წლით უმცროსია, მეექვსე გამარჯვება მიითვალა.

ეს მისი მეშვიდე საკარიერო, მეორე საამსეზონო და ასევე მეორე სამაგარსაფრო ტიტული გახლდათ. წლეულს მან მონტეკარლოურ მასტერსტურნირზეც იმარჯვა, რომლის ფინალშიც — სხვათა შორის — სწორედ კარლოს მოიას მოერია.

ამ ტურნირამდე სამი ესპანელი — მოია, ფერერო და წლევანდელი მეროლანგაროსე ალბერტ კოსტა ვინაც — ბარემ ესეც მოვიგონოთ — პარიზულ ფინალში ფერეროს მოუგო — ჩემპიონთა რბოლის მეხუთე ადგილს იყოფდა. ტურნირის შემდეგ კოსტას ისევ 393 ქულა დაურჩა, რაკილა იქ არც უჩოგნავია, ფერერომ და მოიამ კი, შესაბამისად, 425 და 402 ქულა მოაქუჩეს. შედეგად — კოლუმბიქმა ტიმ ჰენმანის (420) მეოთხე ადგილი დაიკავა, მოია კი მეექვსეზე ჩაქვეითდა. კოსტამ, ბუნებრივია, მეშვიდე საფეხური ირგუნა.

რბოლის პირველ სამ ადგილს ლეიტონ ჰიუიტი (690), ანდრე აგასი (554) და მარატ საფინი (441) იკავებენ. აქედან პირველ ორს ნოემბერში შანხაიში გასამართ რვაკაცა მასტერსთასზე მოხვედრა უკვე გარანტირებული აქვს, ფერერომ კი ჰონკონგში გამარჯვებით წლის ამ შემაჯამებელ და 3,7-მილიონიან სარბიელზე სამონაწილეოდ ვება ნაბიჯი გადადგა.

დამარცხების მიუხედავად, მოიას საწუწუნო არაფერი აქვს. ზურგის მძიმე ტრავმის გამო ჩაფლავებული სეზონების შემდეგ წლეულს მან შესანიშნავი ჩოგბურთი აჩვენა, 4 — აკაპულკოური, ბასტადური, უმაგური და ცინცინატური — ტიტული მოიხვეჭა და კაცთა ამქარს კვლავ დასტურ ანგარიშგასაწევ ძალად მოევლინა.

ჰო, მართლა — 4-4 ტიტული მის გარდა წლეულს კიდევ ანდრე აგასიმა და ლეიტონ ჰიუიტმაც მოიპოვეს.

ფერერო: „ძალიან ბედნიერი ვარ. შარშან აქ მხოლოდ მეოთხედფინალს დავჯაბულდი, წელს კი ჩემი წელი გამოდგა ჰონკონგი მაგრად დამაკლდება — არაჩვეულებრივი ქალაქი ყოფილა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მაგარსაფარზე მოვიგე. ხალხი ესპანეთში ფიქრობს, რომ ჩვენ მხოლოდ თიხაზე ვჩაუქობთ. მაგრამ კარლოსისა და ჩემმა ფინალმა ალბათ ყველა უნდა დაარწმუნოს, რომ ჩვენ სხვა საფარზე ჩოგნაობაც შეგვიძლია. სეზონის ბოლომდე მხოლოდ ჰერქეში მაგარსაფრები დაგვრჩა. თუკი აქ მოვიგე, ვითომ სხვაგან რატომ ვერ ვივარგებ.

ჩემი საამსეზონო მიზანი რომელიმე სლემტიტულის მითვლა იქნება. უმთავრესი გეგმა კი გაპირველებაა. ამისგან ძალიან შორსაც აღარ ვარ — ჩემს წინ ხომ მხოლოდ სამი მჩოგნეა."

მოია: „დიდებულად ვითამაშეთ. გამარჯვებას ორივე ვიმსახურებდით, მაგრამ დღეს მაინც მისი დღე იყო. თუკი შანხაის ტურნირზე ვერ მოვხვდი, ნუგეშად ის მაინც მეყოფა, რომ კვლავ რიგიან ჩოგბურთს ვთამაშობ. ჩემთვის ყველაზე მთავარი სწორედ ესაა. წლეულს თამაშით ვისიამოვნე და ამის გამო შეუძლებელია, რამის გამო ვიდარდო."

**CAMPIONATI INTERNAZIONALI DI SICILIA**
პალერმო. თიხა
საპრიზო 381 000 $

**ნახევარფინალი**
**ფერნანდო გონსალესი (2, ჩილე)** — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:1, 6:2; **ხოსე აკასუსო (3, არგენტინა)** — მარსელო რიოსი (1, ჩილე) 6:4, 6:4

**ფინალი**
**გონსალესი** — აკასუსო 5:7, 6:3, 6:1

22 წლის ჩილელმა ფერნანდო გონსალესმა, ვისაც თანამედროვე ჩოგბურთის ერთ ყველაზე მძლავრ მეხელწამომე მიიჩნევენ, ფინალამდე ისე ლაღად გააღწია, მეტოქეთათვის კინკილა სეტი არ მოუგებინებია. ტურნირზე პირველი სეტის დათმობა მას მხოლოდ გადამწყვეტ მატჩში მოუხდა, სადაც სამი წლით მასზე უმცროს არგენტინელს, ახლო მეგობარ ხოსე აკასუსოს შეეხალა.

შეეხალა და — ანგარიშრდანაც ხედავთ — აჯობა კიდეც.

ამ გამარჯვებამ გონსალესი ორსავე რეიტინგსიაში ალაზევა — ჩემპიონთა რბოლაში მან მეოცე ადგილიდან მეთექვსმეტეზე გადაინაცვლა, სადაც მასსავით 285 ქულის მქონე იუნეს ელ აინაუისთან (მაროკო) ერთად დაყვა, 12-იდან „რეისის" კლასიფიკაციაში კი 24-იდან პირადსარეკორდო მე-20 საფეხურზე ასკუპდა, რაიც იმასაც ნიშნავს, რომ იგი ახლა უკვე 5 ადგილით უსწრებს ჩილელთა აქამომდელ მთავარმჩოგნესა და ოდინდელ მსოფლიოს მეპირველე მარსელო რიოსს.

ცნობისათვის: ჩემპიონთა შარშანდელი რბოლა გონსალესმა 135-ე ადგილზე გაასრულა.

სხვაფრივ — აკასუსოს ძლევამ ჩილელს წლის მეორე, ხოლო კარიერის მესამე ტიტული მოუნაგრა. წლეულს მან კიდევ ადრესეზონში, მშობლიურ ვინა დელ მარშიც იმარჯვა.

ჩოგბურთზე მწერალთა ერთსულოვანი დასკვნით — და ეს დასკვნა ფაქტებს ეყრდნობა — გონსალესი საუცხოო (და მის საუკეთესო) სეზონს თამაშობს. პირველი იანვრიდან დღემდე მან 34 შეხვედრა მოიგო და 18 დათმო, ხოლო უკანასკნელ 17 მატჩში, რაც ოთხ ბოლო ტურნირზე დაუგროვდა, 3 მარცხის წილ სულაც 14 გამარჯვებას მოიძევს. შთამბეჭდავი გახლდათ მისი ჩოგნაობა მაგარსაფრიან ამერიკულ კორტებზეც, სადაც მან ცინცინატური მასტერსტურნირის ნახევარფინალსა და აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალს უწია.

რაც შეეხება აკასუსოს, ეს მისი მესამე საწლევანდელო ფინალი იყო. ივლისში პოლონეთის ღია პირველობაზე სოპოტწარმატებულმა ადრესექტემბერში ბუქარესტში დათმო. გონსალესთან კი ჯამში უკვე სამი მატჩი გაუმართავს და — ვაგლახ — სამივედან მარცხნაჭამი ოტებულა.

გონსალესი: „ჩემი გეგმები წლეულს გადაჭარბებით შევასრულე იმედია, გასად უფრო უკეთ გამოვალ დიდი სლემის ტურნირებზე. თუკი ეს შევძელი, საიმსეზონო გეგმებსაც შესრულებულად ჩავთვლი".

**SPARKASSEN CUP INTERNATIONAL DAMMEN TENNIS GRAND PRIX**
ლაიპციგი. ხალიჩა
საპრიზო 585 000 $

**ნახევარფინალი**
**სერენა უილიამსი (1, აშშ)** — ჟუსტინ ენენი (3, ბელგია) 6:4, 6:2; **ანასტასია მისკინა (6, რუსეთი)** — კიმ კლაისტერსი (4, ბელგია) 6:4, 5:7, 7:6 (7:3)

**ფინალი**
**უილიამსი** — მისკინა 6:3, 6:2

ლაიპციგში ჩასულმა სერენა უილიამსმა მჩოგნე გოგონებს ნათლად განუმარტა, რომ იქ წლის მერვე, ხოლო კარიერის მე-19 ტიტულის მითვლას აპირებდა და ტყუილი იმედები არავის უნდა ჰქონოდა. იმედი ყველაზე გვიან 21 წლის სკოთმა გოგომ, მსოფლიოს 21-ე მჩოგნე ანასტასია მისკინამ დაკარგა.

ნახევარფინალში შარშანდელ-შარშანწინდელი ჩემპიონის, კიმ კლაისტერსის მაღალი რუსი ფინალში დანებებას სულაც არ აპირებდა — სწრაფად ირჯებოდა და თამაშის გამრავალფეროვნებასაც ცდილობდა — მაგრამ სერენას სამყოფი მაინც ვერაფერი ქნა. მამა რიჩის გატიკნილმა ქალიშვილმა, რომელსაც 26 სექტემბერს 21 შეუსრულდა, სეზონის 57-ე მატჩში 54-ე (!) სკალპი მიითვალა და თავის შავდა ვინუსს ერთი ტიტულით გაუსწრო.

სტატისტიკა გვაუწყებს, რომ უკანასკნელი 37 შეხვედრიდან მეტოქეებმა მას მხოლოდ ერთი მატჩი წაჰგლიჯეს. ამ სუპერსერიისას სერენამ ზედიზედ სამი სლემტურნირის — საფრანგეთის ღია პირველობის, უიმბლდონისა და აშშ-ის ღია პირველობის აღება მოახერხა. ისიც სათქმელია, რომ მაისში, გერმანიის ღია პირველობის ფინალში ჟუსტინ ენენთან დამარცხების შემდეგ მას ჯამში მხოლოდ 4 სეტი (!) „გააგდებინეს". ერთადერთი გოგო, ვინაც უკანასკნელი ოთხთვენახევრის განმავლობაში სერენას გატეხვა იკისრა, ჩია ჩანდა რუბინი იყო. ეს საარაკო ამბავი აგვისტოში, ლოსანჯელესურ მეოთხედფინალში მოხდა.

„არ ვიცი, დომინანტური ვარ თუ არა. შეიძლება, ვარ, მაგრამ კორტზე გასული მხოლოდ ყოველ მომდევნო ქულაზე ვფიქრობ. თუმცა ჩემი თამაშით კმაყოფილი მაინც არა ვარ — ჯერაც უამრავ უნებლიე შეცდომას ვუშვებ. ერთი ეგაა, მერვე ტიტულის მოპოვებამ უზომოდ გამახარა, რადგანაც ვინუსს აქაც გადავუსწარი" — სერენას ამ ნათქვამის სიტყვებს ჰალალი თავმდაბლობისა და დური ქვეპაქრობის ურთიერთშემავრცელი სუნი ასდიოდა.

**კრემლის თასი**
მოსკოვი. ხალიჩა
საპრიზო 2,224 მილიონი $

**ვაჟები**
**პირველი წრე**
**ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი)** — ალბერტ კოსტა (3, ესპანეთი) 7:5, 3:6, 6:4; **ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი)** — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 4:6, 6:3, 7:6 (7:4); **რაინერ შუტლერი (გერმანია)** — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 7:6 (8:6), 6:4

იმ დღეს კაცთა მხარეზე მხოლოდ ერთი მატჩი შედგა და ისიც მოულოდნელად დასრულდა — ფრანგმა ესკუდმა, რომელსაც უიმბლდონის შემდეგ ტრავმის გამო ამ ტურნირამდე ჩოგანი არსად გაექნია, წლევანდელ მეროლანგაროსესა და მოსკოვში მესამე ნომრად განთესილ ალ კოსტას აჯობა.

გუშინდლიდან საქმეში მეორე ნომრად განთესილი ევგენი კაფელნიკოვიც ჩაერთო და პირველ ჯერზე ბელარუსი ვლადიმირ ვოლჩკოვი შეიწირა. ამ მატჩამდე კაფელნიკოვს მოსკოვში ნათამაშებ 41 შეხვედრაში 35-ჯერ გაუმარჯვია და წლეულს შანსი აქვს, ღია პირველობათა ერაში ანუ 1968 წლის შემდეგ პირველი მჩოგნე გახდეს, ვინაც ერთი და იგივე ტურნირი ზედიზედ ექვსი წლის განმავლობაში აიღო.

**ქალები**
**პირველი წრე**
**ნადია პეტროვა (რუსეთი)** — მარტინა ჰინგისი (5, შვეიცარია) 6:2, 6:2; **მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი)** — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:1, 6:2; **ტატიანა პანოვა (რუსეთი)** — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 7:5, 6:3

მარტინა ჰინგისი — მსოფლიოს ქალთა ოდინდელი მეპირველე [illegible] მესლემტიტულე [illegible] 22 წლისა შესრულდა. მის სანახავად ტრიბუნასა თუ ტელეეკრანთან დადარაჯებულ ქომაგებს იმედი გვქონდა, საამდღეოდ მარტა თავის თავსაც დაასაჩუქრებდა და ჩვენც.

აპრუწუწუნ — ვერ მოგვერთვა!

ოტროველა და სექსლაჯება რუს ნადია პეტროვას, ვინაც იანვარში დაშავებული მარცხენა ფეხის გამო წლეულს მხოლოდ მესამე ტურნირზე გამოდის, იუბილარი შვეიცარიელის გასაბუნძურებლად სულ რაღაც 45 წუთი დასჭირდა.

თავადაც ნატრავმალ-ნაოპერაციევსა და ზაფხულის განმავლობაში რამდენჯერმე ვაგლახად გაბითურებულ ჰინგისს სკეთგოგოს მძლავრი მოწოდების წინააღმდეგ არავითარი არგუმენტი არ აღმოაჩნდა.

„მარტინა ძალიან კარგი მოთამაშეა, მაგრამ ის იმავე ჩოგბურთს თამაშობს, რასაც დაშავებამდე თამაშობდა — მსჯელობდა ნამატჩევს პეტროვა — ჩოგბურთი კი მაგრად შეიცვალა, ის უფრო აგრესიული გახდა და მისეული ნაზი ჩოგნაობით ახლა ფონს ველარ გავა".

მძლეველის ამ დიაგნოზ-პროგნოზს თავად ჰინგისიც დაეთანხმა: „ვფიქრობ, იმაზე უკეთ ვთამაშობ, ვიდრე ამას ორი წლის წინ ვაკეთებდი, როცა, სხვათა შორის, აქაც ვიმარჯვე. მაგრამ ეს უკვე საკმარისი აღარ არის. გოგოები მართლაც ძალიან გაძლიერდნენ. ახლა შინ უნდა დავბრუნდე და ვივარჯიშო და ვივარჯიშო. ჩოგბურთის მეტი ახლა არაფერზე ფიქრის დრო არ უნდა მქონდეს".

სხვაფრივ — ქალთა ამქარს მოსკოვში ვინუს უილიამსი უყურებს. მისმა უმცროსმა დამ ერთკვირიანი შვებულება აიღო და მამა რიჩის უფროს ქალიშვილს შეუძლია, უმცროს დას ამ სეზონში მოხვეჭილ ტიტულთა რაოდენობით (8) გაუთანაბრდეს.

მისმომდევნო ჩოგნებს იქ ლინდსი დევენპორტი, შარშანდელი ჩემპიონი ელენა დოკიჩი და ამელი მორესმო დაიკავებენ. ჯენიფერ კაპრიატი ბოლო მომენტში გაგრიპიანებულა და მონაწილეობაზე უარი უთქვამს.

**იაპონიის ღია პირველობა**
ტოკიო. ჰარდი
საპრიზო 970 ათასი $

**პირველი წრე**

**ვაჟები**
**მაიკლ ჩანგი (აშშ)** — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:5, 4:6, 6:3; **დომინიკ ჰრბატი (11, სლოვაკეთი)** — ტაკაჰირო ტერაჩი (იაპონია) 6:1, 6:2; **ტეილორ დენტი (16, აშშ)** — ჰიროკი კონდო (იაპონია) 6:0, 7:5; **ტაკაო სუძუკი (იაპონია)** — ჟან-მიშელ გემბილი (10, აშშ) 6:4, 3:6, 6:3; **მაგნუს ნორმანი (შვედეთი)** — ჯორჯ ბასტლი (შვეიცარია) 6:3, 6:0; **მაგნუს ლარსონი (შვედეთი)** — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:4), 6:2

**ქალები**
**სილვია ტალაია (ხორვატია)** — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:4, 3:6, 6:0

ჰონკონგს გამოშვიდებული მაიკლ ჩანგი ამ კვირაში მეთორმეტედ და — ჰონკონგის დარად — უკანასკნელად ეწვია იაპონიის ღია პირველობას. ეწვია და პირველსავე მატჩში თავისზე მხცოვან, 33 წლის ესპანელ კლავეტს სძლია.

ამ გამარჯვებამ და კიდევ იმან, რომ მომდევნო წრეში მას ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი ლეიტონ ჰიუიტი უნდა შეხვდეს, დიდი ჩოგბურთიდან წამსვლელი ლეგენდარული მჩოგნე ჩინებულ გუნებაზე დააყენა.

„ჰო, ეს ჩემი ბოლო ბანაობაა — ამბობდა — და რა სასიხარულოა, როცა გრძნობ, რომ ყველა შენ გემხრობა, ყველა შენ გამხნევებს და გქომაგობს. მომავალ წელს ალბათ ჩოგბურთიდან წავალ და მსურს, ყოველ ტურნირს, სადაც ბოლოჯერ გამოვდივარ, ღირსეულად დავემშვიდობო. დღევანდელმა მოგებამ შემაგულიანა და ახლა ერთთავად ლეიტონთან თამაშის მოლოდინში ვარ. ჩვენ ერთმანეთს წელს როზმალენის ბალახსაფარზე შევხვდით და, მართალია, დავმარცხდი, მაგრამ მატჩი იოლად არ დამითმია — 6:7, 6:7. ძალიან მიხარია, რომ მსოფლიოს პირველმჩოგნესთან თამაშის საშუალება მომეცა".

ჰიუიტის გარდა, რომელსაც აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში ანდრე აგასისთან დამარცხების შემდეგ აღარსად უჩოგნავია, იქ ჩანგის მსგავსად ნაჰონკონგარ სამ ესპანელს — ხუან კარლოს ფერეროს, კარლოს მოიასა და ალექს კორეჩასაც ვიხილავთ.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS ფოტოქრონიკა

სერენა უილიამსი

# ქაცები ქალთა მაგიდასთან

*საქართველოში ჰოლანდიის ელჩი ჰარი მოლენაარი იმ ლამაზ საღამოს კლუბ „ნტნ“-ში შეკრებილ საზოგადოებას რომ გამოემშვიდობა, თავისი საელჩოს მეორე მდივანმა ბოი ფრენკმა ქართულად მიაძახა, ბატონო ჰარი, თქვენ ნაბრძანდით, მე კი კიდევ ცოტა ხანს აქ დავრჩები და ჭადრაკს ვითამაშებო. მერე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ექსპრეზიდენტმა ვაჟა შუბლაძემ ბოი ფრენკი საჭადრაკო მაგიდასთან მიიხმო და „ბრძოლაც“ გაჩაღდა. ეს ჩვენი ჰოლანდიელი სტუმარისთვის დიდი პატივი იყო. ალბათ თავსაც არაერთხელ მოიწონებს და იტყვის, მე თბილისში იმ ისტორიულ მაგიდაზეც მითამაშია, რომელზეც 1975 წელს ბიჭვინთაში ქართველი ქალები ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია გადამწყვეტ მატჩში მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინს ეცილებოდნენ ერთმანეთსო*



ბოი ფრენკი (მარცხნიდან პირველი) ვაჟა შუბლაძემ ისტორიულ მაგიდასთან მიიწვია, ხელი ჩამოართვა და ბრძოლაც დაიწყო, მათ პაექრობით კი ჰარი მოლენაარი და ნანა ალექსანდრიაც დაინტერესდნენ

**მას შემდეგ** ქართველ ქალებს მსგავსი ბრძოლა არაერთხელ გაუმართავთ და ისინი საჭადრაკო ოლიმპზე მთელი სამი ათეული წლის განმავლობაში ბატონობდნენ. უფრო სწორად, დედოფლობდნენ, რასაც 1962 წლის 17 ოქტომბერს ნონა გაფრინდაშვილმა დაუდო სათავე.

ნონაც, ნანაც და ვაჟთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი თბილისის პიონერთა სასახლეში აღიზარდნენ. ამ წარმატებებს ვახტანგ ქარსელაძემ დაუდო სათავე. ეს მოხდა 1941 წელს, როცა თბილისის პიონერთა სასახლე დაარსდა და მასთან ერთად საჭადრაკო სკოლაც, რომელსაც შემდგომ ვახტანგ ქარსელაძის სახელი ეწოდა. მერე იქვე გაიხსნა საჭადრაკო კლუბი „ნტნ“. ეს აბრევიატურა ნონა, ტიგრან, ნანა სახელებისგან წარმოდგა და მათ ბრწყინვალე გამარჯვებებს კიდევ ერთხელ გვახსენებს.

ამასვე გვახსენებს თავად საჭადრაკო სკოლის კედლები, რომლებიც მისი დირექტორის ნანა ალექსანდრიას სიტყვებით ძალზე მეტყველია.

მართლაც, ეს კლუბი თავისებური მუზეუმია, რომელიც მოსწავლეთა სასახლის აღზრდილთა წარმატებებს გვახსენებს. აქაურობა განსაკუთრებით შარშან დამშვენდა, გალამაზდა და ახალი თუ ძველი ექსპონატებითაც შეივსო, რაც ნანა ალექსანდრიას საკუთარი და მის ახლობელ-მეგობართა თუ ნაცნობთა ერთობლივი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

ამ თავისებურ მუზეუმში თავისი კუთხე აქვს ნონა გაფრინდაშვილის წარმატებათა ამსახველ ექსპონატებს. ახლა სწორედ ამ ჭადრაკის დედოფლის პირველად მსოფლიო ჩემპიონად კურთხევის 40 წლისთავი ახლოვდება და კლუბი „ნტნ“ საქართველოს ოლიმპიურ ფონდთან ერთად ატარებს საჭადრაკო ფესტივალს „ნონას თასი“. ეს ღონისძიება 21 სექტემბერს დაიწყო და 1 დეკემბრამდე გაგრძელდება. უკვე გასრულდა 10 წლის მოჭადრაკეთა და მოყვარულთა ტურნირები (მოწვევით), მიმდინარეობს ფესტივალის შესარჩევი ტურნირი, ჩატარდება კადეტთა ტურნირი (16 წლამდე მოჭადრაკეთა შორის) და მთავარი ტურნირი — ნონას თასი.

ის საღამო კი, რომლითაც თხრობა დავიწყეთ, შაბათს გაიმართა. მიწვევით გამართულ მოყვარულთა ტურნირზე რომელი პროფესიისა და სფეროს წარმომადგენლებს აღარ ნახავდით აქ. „ნტნ“-ში იყვნენ საქართველოს პარლამენტარებიც, ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელებიც, მსახიობებიც, ჩვენი კოლეგებიც, უცხოელი დიპლომატებიც.

მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ქალთა მსოფლიო ჭადრაკის ჭეშმარიტ ვარსკვლავთა ქვეყანაში გამართულ ამ ტურნირში თითქმის მხოლოდ კაცები მონაწილეობდნენ. ეტყობა, საქართველოში ჭადრაკის მოთამაშე ქალთაგან ყველა პროფესიონალია, ვაჟები კი მოყვარულობას ამჯობინებენ.

ასე იყო თუ ისე, ის ლამაზი საღამო მსოფლიოს ჩემპიონ მაქს ეივეს ქვეყნის წარმომადგენლებმა თავიანთი ვიზიტით უფრო გაალამაზეს. ისინი იქ 30 ელექტრონული საჭადრაკო საათით ხელდამშვენებული მოვიდნენ და „ნტნ“-ს აღსაზრდელებს საჩუქრად დაუტოვეს.

„მხოლოდ ერთი წელიწადია, რაც საქართველოში ჰოლანდიის საელჩო გაიხსნა, მაგრამ ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ჩვენი ქვეყანა თქვენს საჭადრაკო სკოლას ეხმარება — ამბობს ჰარი მოლენაარი — ამ ხნის განმავლობაში გავიგეთ, თუ როგორი საჭადრაკო ტრადიციები გაქვთ ქართველებს. თქვენ ნამდვილი გენიოსები გყავთ. მართალია, ჰოლანდია ბევრ რამეშია მისაბაძი, მაგრამ როცა საქმე ეხება ჭადრაკს, ამ მხრივ ვერავინ შეგეცილებათ. თქვენგან ჩვენც ბევრი რამ გვაქვს სასწავლი. ძალზე შთამბეჭდავი შედეგები გაქვთ. ჩვენგან განსხვავებით ქართველები ყველაფერს ბავშვობიდან ითვისებთ. ძალიან საინტერესოა, ასეთი მიღწევების პატრონებმა როგორღა უნდა გააუმჯობესოთ ჭადრაკის დონე?“

ჰოლანდიის საელჩოს მეორე მდივანმა კი ქართულად შეგვახსენა: „ჭადრაკი ხალხს აერთიანებს. საქართველო და ჰოლანდია საჭადრაკო ქვეყნებია. თქვენ გყავთ ნონა, ჩვენ გვყავდა მაქს ეივე“.

დიახ, მათ ჰყავდათ მაქს ეივე, ჩვენ კი გვყავს ნონაც, ნანაც, მაიაც და სხვა „სამაიაც“. იმედად დავიტოვოთ, რომ კიდევ ბევრი გვეყოლება, რაშიც ხელს შეგვიწყობს ჰოლანდიელთა ნაჩუქარი თანამედროვე ელექტრონული საჭადრაკო საათებიც, რომლებმაც ქვის თუ ხის ხანიდან გამოგვიყვანა.


ნონა გაფრინდაშვილის კუთხე „ნტნ“-ში

რაკი ქვის ხანაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბრინჯაოს ხანაც გვახსენდება და არცთუ უსაფუძვლოდ — სტუმრები „ნტნ“-დან ხელცარიელნი არ წასულან. ჰარი მოლენაარს საჭადრაკო კლუბის სახელით ნანა ალექსანდრიამ აჩუქა საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის ქანდაკების ასევე ბრინჯაოს ასლი, რომელიც საჭრეთლის დიდოსტატმა მერაბ ბერძენიშვილმა სულ ოთხად-ოთხ ეგზემპლარად გამოძერწა და მას სახელად დაანათლეს „პირველი ევროპელი“.

იმავე საღამოს ბოი ფრენკს, ვინც ამ ბრძნული თამაშის დიდი მოყვარული ყოფილა, მინიატურული საჭადრაკო დაფა უსახსოვრეს.

**ავთანდილ ბუყიაშვილი**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**



ნონას და ნანას მაგიდა ტურნირის ერთადერთმა მონაწილე ქალბატონმა, მსახიობმა რუსუდან ბოლქვაძემ და საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმაც მოსინჯეს


ტურნირზე მიწვეული მოყვარული მოჭადრაკეების ერთი ნაწილი



საქართველოს ჩემპიონატი

მეხუთე ტური

უნივერსიტეტი 22:54 ყოჩები

დათვები 21:5 ლოკომოტივი

შევარდენი 20:3 აია

# გახდა დათვი ბაბაია მხარზე უზის შევარდენი

**შინაური რაგბის** ცენტრმა ნელ-ნელა ბათუმისკენ მოინაცვლა. ასეა, სადაც ხელშეწყობა და ფინანსებია, იქ ნაკლები პრობლემებია. ბათუმელებს უმაღლეს ლიგაში ორი კლუბი ჰყავთ: „დათვები“ და მისი ნამატი „შევარდენი“.

ორივე ზღვისპირული კლუბი ერთობ ყოჩაღობს და პლეიოფამდელ ორწრიან გათამაშებას თავში უდგას. წინ უფროსი ძმა „დათვებია“, მომდევნო კი უმცროსია.

აგერ, უკვე მე-5 ტური მიილია, „დათვები“ კი უდანაკარგოდ ლიდერობენ ექვსგუნდა ცხრილს. მდევრებს ალბათ დიდხანს მოუწევთ იმის ლოდინი, ლევან მგელაძის შეგირდები როდის წააგებენ, რაკი საამსეზონოდ „დათვები“ კი არ დასუსტებულან, პირიქით, ერთობ გაძლიერდნენ. დიდებმა სისხლი „შევარდენსაც“ გადაუსხეს და უმაღლეს ლიგაში ნათამაშევი რამდენიმე მორაგბე შეაშველეს. შედეგიც შესაფერისი.

ამათთან რას მოვლენ დანარჩენი უმაღლესლიგელები. მორაგბეთა მიგრაციამ „ყოჩებს“, „ლოკომოტივს“, „აიასა“ და „უნივერსიტეტს“ ხერხემალი გამოაცალა და უწინ აწყობილი მანქანიდან სახელიღა დარჩა.

ამათში სხვებზე უკეთ საქმე „ყოჩებს“ და „ლოკომოტივს“ აქვთ. „ყოჩები“ თავიანთი სკოლიდან მიიღებენ რეზერვს, რკინიგზელებს ტრავმირებული და სანაკრებოდ გამოძახებული მორაგბეები დაუბრუნდებიან. „აიამ“ და „უნივერსიტეტმა“ იკითხონ...

ეს ორი გათამაშების უდავო აუტსაიდერია და ალბათ ვერც საპლეიოფო ოთხეულში მოხვდებიან. თანაც, მე-5 ტურში ორივემ პრინციპული მატჩები დათმო. „აიამ“ სტუმრად წააგო „შევარდენთან“, „უნივერსიტეტი“ კი თბილისური კლუბების ერთადერთ, ვარკეთილის მეურნეობის მოედანზე დამარცხდა „ყოჩებთან“. სტუდენტთა მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ბათუმში „შევარდენთან“ ჩაუსვლელობის გამო 2 ქულა დააკლეს.

ტურის ცენტრალური მატჩი კი ბათუმში გაიმართა, სადაც „დათვებმა“ დასუსტებულ ჩემპიონ „ლოკომოტივს“ იოლად მოუგო. დებიუტშივე გვარიანი მუშტი-კრივიც გამართულა, რასაც მერე მასპინძელთა გააფთრებული შეტევებიც მოჰყოლია. ამ გუნდების დაპირისპირებას ჩხუბი და აყალმაყალი მუდამ ახლდა, ისევე, როგორც ბოლომდე ბრძოლა და გვარიანი ინტრიგა. ახლა კი შედეგი ადვილად პროგნოზირებადია. „დათვები“ სხვებზე ერთი თავით მაღლა დგანან.

**ბაჩო სვანიძე**

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 5 | 5 | 0 | 0 | 10 |
| შევარდენი | 5 | 3 | 0 | 2 | 6 |
| ყოჩები | 5 | 3 | 0 | 2 | 6 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 0 | 2 | 4 |
| აია | 5 | 1 | 0 | 4 | 2 |
| უნივერსიტეტი | 4 | 0 | 0 | 4 | -2 |

უნივერსიტეტს დაკლებული აქვს 2 ქულა

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ვინუს დაბნეული

ერთგვარი დაბნეულობით შესცქერის მასკვა რეკას პირად მოსყირნე სტალინსა და კლიმ ვოროშილოვს ვინუს უილიამსი, რომელიც ამ დღეებში მოსკოვში იმყოფება კრემლის თასის მოსაგებად. ვინუსმა ალბათ არ იცის, რომ ბედმა გაუღიმა და სწორ დროს, სწორ ადგილას დაიბადა, თორემ ამ ხალხისთვის მოუწევდა ოფლის ღვრა და მისი მილიონები სულ სხვა საქმეს მოხმარდებოდა.



REUTERS მოსკოვიდან



REUTERS ლას ვეგასიდან

# აფერუმ, ანდრე

ანდრე აგასის საქველმოქმედო ფონდმა ამ დღეებში ხმაურიანი და კეთილი ღონისძიება გამართა ლას ვეგასის „ემჯიემ გრანდში“. აგასის მიზნად ჰქონია შიდსიან და უპოვარ ბავშვთა დახმარება და ღონისძიებაც ამიტომ გაუმართავს. ჩოგბურთელის კეთილ განზრახვას მრავალი სპორტის და მუსიკის ვარსკვლავი გამოხმაურებია და დიდი კონცერტიც გამოსულა. სამაგალითოდ კარლოს სანტანაც საკმარისია, ვინც არა მხოლოდ დაუკრა, არამედ თანხაც გაიღო. აგასის ფონდმა სარეკორდო 5,6 მილიონი დოლარი მოაგროვა ბავშვებისთვის. თავად ორგანიზატორი კი თავის 11 თვის ვაჟ ჯადენთან ერთად გამოჩნდა სცენაზე.





REUTERS ლოს ანჯელესიდან

# პრეზენტაციების ქალი

მერიონ ჯონსი, ყველაფრის ჩემპიონი მძლეოსანი ათასგვარი პრეზენტაციის სასურველი სტუმარია. ახლა კალიფორნიაშია, სანტა მონიკაში, სადაც „ამერიკენ ექსპრესის“ ოცი წლისთავი აღინიშნება.

# ნიშანი

ეს საპლაჟო ფრენბურთის ჩვეულებრივი ხედია. ქვიშიანი ვავა და დამალული პირობითი ნიშნები პუსანში, აზიის თამაშებზე. ჩინელი ტიანჯია თანაგუნდელს კომბინაციას ახსენებს. ჩინელები კი ტაიგოგონებს უგებენ.



REUTERS პუსანიდან

# ტორპი მილანში

იან ტორპიც მაღალ მოდას მიახლოვებია. განთქმული ავსტრალიელი მოცურავე მილანშია, ჯორჯო არმანის გაზაფხულ-შემოდგომის რამეების დასათვალიერებლად.



REUTERS მილანიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გია აბულეღიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge